


ნაღვანჯიხის

ისპორი

წალენჯიხის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტი მალაღმთიანეთის, ლაკადის უმშვენიერეს კალთებს შეფენილი რეგიონია. კონტა სოფლებითა და ქალაქებით (წალენჯიხა, ჯვარი). გამოირჩევა ლანდშაფტის მრავალფეროვნებით, ანკარა მდინარეების ხეობებში ჩაფლული წაბლის, მუხის, წიფლის, ნაძვნარისა და ბზის კორომებით, თქმულებებით გარემოსილი ტობავარჩხილის ტბითა და ეგრისის ქედის უმაღლესი მწვერვალებით. ოხანქუე-ყვირას მთების მასივის ეკოტიკური მასივებით, ლეგენდარული ქუაო-ცანცალათი, ინწრასა და კინხას დიდებული ჩანქერებით, კურორტ სქურის მინერალური წყაროთი, ადამიანის უძველეს საცხოვრისი მღვიმით.

უთუოდ, სწორედ ამ მიდამოების მახლობლად, სადაც მდინარე ენგური გამოსცდება სვანეთის მაღალ მთებს და ვიწრო ხეობებს, ეკიდა კოლხეთის უძლიერესი მეფე აიეტის უდიდესი განძი – ოქროს საწმისი, ოქროს მოპოვების საიდუმლოებით გარემოცული, რომელიც მეფის ასულის, ქალწულ მელვას შემწვობით გაიტაცეს არგონავტებმა. დღეს კი აქ, პიდროგიგანტის, მსოფლიოში ერთ-



ცაშობულა

ტიანული მართლმადიდებლური სალოცავები. წალენჯიხის მაცხოვრის ფერიცვალების ტაძარი ჩვენს წინაპრებს X-XI საუკუნეში აუგიათ.

წალენჯიხის საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულია შერგილ და ცოტნე (ბადიშ) დადიანის დროს XII-XIV საუკუნეებში. წალენჯიხა XIV საუკუნიდან დადიანებმა და ოდიშის მაშინდელმა

წალენჯიხის მაცხოვრის ფერიცვალების ტაძარი.

ლეგენდა “ტობავარჩხილზე” (გერცხლის ტბაზე)

წალენჯიხის ჩრდილოეთით, იქ, სადაც ბუნების მშვენიერება, ჯიხე-ბი ბინადრობენ და კაკების სტეპენა არღვევს სიმეუდროვებს, ეგრისის გოლიათი მთების მარჯვენა მუდმივი თოვლით დაფარული ფრიალო კლდეების ქვეშ, 2.650 მეტრ სიმაღლეზე მარგალიტოვით ჩაჭედილია ბუნების უმშვენიერესი ქმნილება, კარსტული ტბა “ტობავარჩხილი” (გერცხლის ტბა). ესაა ეგრისის მთების მშვენიერება და განუყოფელი სილამაზე, პატარადავით მომხიბლველი და კეკელუცი, სუფთა და კრიალა, მღუმარე და უტყვი.

“ტობავარჩხილის” მიდამოები საუკეთესო საშუალებაა აქტიური დასვენებისათვის, ის განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველია ივლისის შუა რიცხვებიდან, როდესაც ზამთრის სქელი



„ტობავარჩხილი“

ერთი უდიდესი მღე-ქტროსადგურის უნიკალური კაშხალი და ულამაზესი წყალსატევი. აქ შექმნილი ენერგია მზიური ბრწყინვალეობით დაჰნათის სრულიად საქართველოს. აქ მდინარეების – ენგურისა და მაგანის შესართავთან, მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა პირველი საუკუნის დასაწყისში აღმართა ქრისტიანული ჯვარი და მას შემდეგ სოფელსა და დღევანდელ ქალაქს ჯვარი ეწოდება.

სიმწვანით გარემოსილსა და მდინარე-ნაკადულებით დაქსელილ წალენჯიხას სამეგრელოს ზურ-მუხტოვალად მოიხსენიებენ ხოლმე და ეს რომ ასეა, ამაში მნახველი თვალის ერთი გადავლებითაც დარწმუნდება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებას აქაურობისათვის მადლიანი კალთა უხვად დაუმწყალოებია. ამასთანავე, წინაპართა და თანამედროვეთა ხელით შექმნილი ღირშესანიშნაობებიც მრავლად არის.

დღევანდელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურული ისტორია უთუოდ სამი ათასწლეულზე მეტს ითვლის, რაზეც მიგვანიშნებენ წარმართული ხანის ნამარხები, ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები. წალენჯიხაში ნაპოვია ნეოლითური ხანის კაუის პირი და გვიანბრინჯაოს ხანის განძეული.

წალენჯიხის ისტორიას რომ ფესვი შორეულ წარსულში აქვს გადგმული, ამაში უპირველეს ყოვლისა, თვით მისი სახელწოდება “წალენჯიხა” – “წენდისას” ეტიმოლოგიის გაშიფვრაც გვარწმუნებს. წალენჯიხას თავისი სამლოცველოებიც გააჩნდა. ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში აღუმართავთ ქრის-

მმართველმა, მანდატურთუხუცესმა ვამეყ I-მა დადიანმა (1384-1396 წლები) მუდმივ რეზიდენციად აქ ციხეს.


წალენჯიხა იყო ოდიშის ერისთავებისა და მთავრების ადგილსამყოფელი, ის კულტურის, განათლებისა და სულიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად მოიხსენიება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფართობი 647 კვ. კილომეტრს შეადგენს. მოსახლეობაა 45.000, საიდანაც 9.000 ადამიანი დევნილია. კომლთა რაოდენობა შეადგენს 13.850-ს.

ძალზე საყურადღებო კულტურის ძეგლებია წალენჯიხის უძველესი ჯიხა და სქურის ხეობაში არსებული ციხე-ქალაქისა და ბაზილიკური ეკლესიის ნაშთები, რომელთაგან ზოგიერთის აშენების თარიღად III-IV საუკუნეებს ვარაუდობენ. განსაკუთრებით გამორჩეულია



„ქუაოქანცალაია“

თოვლის საფარიდან მთლიანად განთავისუფლდება და ირგვლივ მწვანე მინდვრებითა და ათასგვარი ყვავილებით შემოსება.



„ენგურჰესის“ თაღვანი კაშხალი

ლეგენდა მოგვითხრობს: ეს კამკამა ტბა ჭუჭყის ვერ პგუობს, თუ ვინმემ შიგ ხელი ან ტანი დაიბანა, ისე განრისხდება, რომ რარიგ მოწმენილი ცა იყოს, დაახლოებით ერთ საათში გაწვიმდება და მანამდე იწვიმებს, სანამ თავმოწონე “ტობავარჩხილი” საბოლოოდ არ განიწმინდება.


ლეგენდის სინამდვილეში რომ დარწმუნდეთ და ნახოთ ტობავარჩხილის მშვენიერება, ეწვიეთ ივლისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის ბოლომდე და ისიამოვნეთ ბუნების საოცარი სილამაზით.

ეწვიეთ ყვირას და ლატებით ბუნების საოცრებით.

ლეგენდა “ცაშობულზე”

მდინარე წისქვილარას ულამაზესი ხეობის ჩრდილოეთით, სადაც ეგრისის გოლიათი მთები გადმოჰყურებენ სამეგრელოს და დასავლეთ საქართველოს, კავკასიონის მთებისკენ მიმავალ ბუნების მოყვარულებს პირველი ეგებება 3.017 მეტრი სიმაღლის მქონე მთა “ცაშობულა” (ცის კიბე).

ჩვენი ხალხი ოდითგანვე მისდევდა მესაქონლეობას. ზაფხულის პერიოდში მწყემსები



წალენჯიხის ფერიცვალების ტაძარი X-XI საუკუნე

ლეგენდა “ქუაოქანცალაიაზე” (მოქანავე ლოდი)

მრავალი საუკუნის წინათ, ეგრისის მთების მიდამოებში, სადაც ანკარა მდინარეები წისქვილარა, ჭანისწყალი, ინწირა, მოროვა და სხვა მოედინება, მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა უზარმაზარი კაციჭამია დევი. ის სამეგრელოს სოფლებში თვეში ერთხელ გამოჩნდებოდა და გოგო-ბიჭებს იტაცებდა. მოსახლეობა დიდხანს იტანჯებოდა. შემდეგ ხმა დაირხა – სოფელში უძღვევლი ახალგაზრდა ვაჟაკი არამხუტუ ცხოვრობსო, რომელსაც დევის დამარცხება შეუძლიაო. სოფელმა არამხუტუს დახმარება სთხოვა.

არამხუტუმი მეორე დღესვე დაიწყო მზადება დევთან საბრძოლველად და ოხანქუეს მთაზე დაბანაკდა. დიდი ღოღინის შემდეგ მთაზე დევი გამოჩნდა.

არამხუტუს და დევის ერთმანეთისაგან ათ კილომეტრზე მეტი მანძილი აშორებდათ. მიხვდარა დევთან მოლაპარაკების უაზრობას, მან აიღო უშველაველი ლოდი და დევის მიმართულებით სტეორცნა, მაგრამ მიზანს მცირე დროით ააცივდა. დევმა საშიშროება იგრძნო და თვითონაც ქვების გროვა დაუშინა არამხუტუს.

მოქანცველი ბრძოლის შემდეგ არამხუტუმი აიღო ვეგებრთელა ოთხკუთხა ლოდი, კიდევ ერთხელ მოიკიბა ძალ-ღონე და მთელი ძალით მიზანდასახულად სტეორცნა. ლოდმა ჰაერში გაიშვია, გარკვეული ტრაექტორია შემოხაზა, ყვირას მთაზე ამაყად მდგარ დევს თავი გაუპო და იქვე, მწვანე ხასხასა მდელზე დაცემისას ვეგებრთელა ორმო ამოთხარა.

სოფლების მოსახლეობა დიდ გამარჯვებას ზეიმობდა. მათ არამხუტუ ყვირას მთაზე ზარზეიმით აიყვანეს. არამხუტუმი მოძებნა ლოდი, რომლითაც დევი დაამარცხა, ამოიღო მიწიდან და ისეთ ადგილას განათავსა, რომ თითის შესებით ექანავა, რათა ეს ამბავი თაობიდან თაობას გადასცემოდა. ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების აღსანიშნავად.

ლოდმა მართლაც ქანაობა დაიწყო და დღესაც თითის შესებით ქანაობს ყვირას მთაზე.

ნახირს მთებში საძოვრებზე მიერეკებოდნენ და გვიან შემოდგომამდე იქ რჩებოდნენ. მიიმე იყო მთაში ცხოვრება, მაგრამ იძულებული იყვნენ თავიანთ ბედს დამორჩილებოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს, ძლიერი უამინდობით შეწუხებულმა მწყემსებმა გადაწყვიტეს ახლომდებარე მწვერვალზე კიბე მიედგათ, საფეხურები კლდეებისაგან გამოეთალათ და მაღლა ღმერთთან ასულიყვნენ, რათა დახმარება ეთხოვათ.

ერთი თვე დღედაღამ მუშაობდნენ იქაური მწყემსები კიბის მშენებლობაზე. თითქოსდა ყველაფერი კარგად უნდა დასრულე-




ინწირას ჩანქერი

ბულიყო, მაგრამ კიბე საკუთარი სიმძიმისაგან უცებ ჩამოიშალა და მწვერვალის ირგვლივ ასეულობით პეტქარზე მიმოიფანტა. მწყემსები მომხდარმა ძლიერ შეაწუხა, მაგრამ თავიანთ ნახელავს რომ უყურებდნენ, თვითონაც უკვირდათ თუ როგორ გამოთალეს კლდეებიდან კიბის ამდენი საფეხური. გადაწყვიტეს, რომ იმ ადგილისათვის “ცაშობული” დაერქმიათ.

ასე უხსოვარი დროიდან დგას ლამაზი მთების შორის უმაღლესი “ცაშობული” და უხმობს მნახველებს.

მასალები მოგვაწოდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” წარმომადგენელმა წალენჯიხაში, ბატონმა ნუბზარ ზარქუამ.



ბერი XX საუკუნის საუბითი ბენეფიციარი

თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

კაპიცას მიერ სტალინისადმი მიწერილ პირველ ბარათში არის ბერიას (არა მხოლოდ მისი) შემდეგი შეფასება: „ამხანაგები ვანნიკოვი და სხვები, ტექს-აბოლდანი მაგონებენ მოქალაქეს იმ ანეკ-დოტიდან, რომელიც არ უფერებს ექიმებს, ჩადის ესენტუკში და სვამს ყოველნაირ მინერალურ წყალს იმის იმედით, რომ რომელიმე მათგანი მაინც განკურნავს.“

ამხანაგებს ბერიას, მალენკოვს, გოზნე-სენსკის და სხვებს განსაკუთრებულ კომიტეტში თავი ისე უჭირავთ, თითქოს ზეადამიანები იყვნენ. ეს განსაკუთრებით ეხება ამხანაგ ბერიას. მართალია, მას დიარეოზის ჯოხი უპყრია ხელთ. ეს კარ-გია, მაგრამ მის ორგანოებში პირველი ვი-ოლინო მაინც მეცნიერი უნდა იყოს. ვიო-ლინო ხომ ტონს აძლევს მთელ ორგანოს (აშკარა მინიშნება იმაზე, რომ ეს პირველი ვიოლინო სწორედ კაპიცა უნდა იყოს, რომელსაც ყველა უნდა უსმენდეს და უჯერებდეს – დირიჟორი ხომ თავად არცერთ ინსტრუმენტზე არ უკრავს – ს.კ.). ლავრენტი ბერიას ძირითადი სისუსტე ის გახლავთ, რომ დირიჟორმა მხოლოდ ჯოხი კი არ უნდა იქნოს, მას პარტიტურაც უნდა ესმოდა. ამაში კი ბერია აშკარად სუსტია.“

თუ როგორ ესმოდა ლავრენტი ბერიას „პარტიტურა“, ეს დრომ დაადასტურა. დრომ ისიც დაადასტურა, რომ ბერიას თავი „ზეადამიანად“ კი არ მიიჩნდა, არამედ საესტეტიკო საფუძვლიანად იყო დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. აი, ამხანაგებს მალენკოვსა და გოზნესენსკის საკუთარი თავები ნამდვილად უსა-ფუძვლოდ მიიჩნდათ „ზეადამიანებად“. მათი საუფროსო ამბიციები აშკარად ბევრად სტაბილურად მათ საქმიან თვისებებს (მოგვიანებით მე მოვიყვან ვოზნესენსკისთან დაკავშირებულ ერთ თითქმის დაუჯერებელ ფაქტს, რომელიც ნამდვილად მოხდა).

კაპიცა ასეც წერდა: „პირადად მე ვგარაუდობ, რომ ბერია თავს გაართმევდა საქმეს იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს დაახლოვებად მეტ დროს და ენერგიას. იგი ენერგიულია, შესანიშ-ნავად ერკვევა სიტუაციებში, აქვს ორიენ-ტირების განსაცვიფრებელი უნარი, დიდ-ბუღალა განასხვავებს ერთმანეთისაგან მთავარსა და მეორეხარისხოვანს, უდავოდ ერკვევა მეცნიერულ საკითხებში (აი, ხე-დავთ?), ზუსტად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს.“

მას ერთი ნაკლოვანება აქვს – უზომოდ თავდაჯერებულია, რაც განპირობებულია პარტიტურის ზერეულ ცოდნით. მე მას პირში ვეუბნები: „თქვენ ვერ ერკვევით ფიზიკაში, მოგვეცით უფლება მეცნიერებს, რომ თავად გადაგვტარონ ეს საკითხები“ – რასაც იგი არ ეთანხმება, მეუბნება, რომ მე ადამიანებში ვერ ვერკვევი. საერთოდ, ჩვენი დიალოგები არ გამოირჩევიან კეთილ-მოყვრულობით. მე ვთავაზობდი, რომ შეესწავლა ფიზიკა, მოსულიყო ჩემთან ინ-სტიტუტში...“

რა შეიძლება ითქვას? ბერია რომ ფიზიკის შესწავლას შესდგომოდა, ალბათ მეცნიერების დოქტორი გახდებოდა, მაგრამ როგორ წავიდოდა მაშინ ურანის პრობ-ლემათა დაკავშირებული საქმეები? პეტრე ლეონიდის ძის ამაპარტანება თანდათან უფრო თვალში საცემი ხდება და საკმაოდ მხიარულ ელფერსაც იძენს... მისი „რეკომენდაციები“ კი ყოველგვარ ზღვარს სცდება, რომელიც დიმიტრსაც მო-პერის ადამიანს და არანორმატიული ლექსიკის გამოყენების სურვილსაც. იგი შემდეგ წერს: „წვენი გენიალური გაჭარი-მეცენატები ტრეტიაკოვები, შჩუკინები და სხვები ხომ შესანიშნავად ერკვეოდნენ სახვით

ხელოვნებაში და სხვებზე ადრე აღმოა-ჩენდნენ ხოლმე დიდ მხატვრებს. ისინი არ იყვნენ ხელოვნების დარგის მოღვაწეები, მაგრამ ბეჯითად სწავლობდნენ სახვით ხელოვნებას. ბერია რომ ასეთი ზარმაცი არ ყოფილიყო (საინტერესოა – ს.კ.), „ადამი-ანების ცოდნის“ მისი უნარით აუცილე-ბლად შესძლებდა მეცნიერების და ტექნიკის კორიფეების სხვებზე ადრე აღ-მოჩენას და იქნებოდა ატომური ბომბის „ორგესტრის“ დიდებული დირიჟორი...“

ახლა კი ციტირებას შემეწყევტ და გაე-აგრძელებ პეტრე ლეონიდეს ძის წერილის წაკითხვას:

„...უმჯობესი იქნებოდა, რომ ბერია გაც-ნობოდა პირველწყაროებს (და არა მათ პოპულარულ ვერსიებს) იმაზე, თუ როგორ გააუმჯობესებ ტრანსტელანტიკური კაბელი, როგორ ვითარდებოდა ორთქლის ტურბინა და სხვა.“

მაშინ იგი დაინახავდა ამ პროცესთა საერთო კანონზომიერებას და გამოიყენებ-და მთელ გამოცდილებას იმის განსაზღვრე-ბისათვის, თუ რა არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ატომური ბომბის შექმნის სამუშაოთა შემდგომი განვითარე-ბისათვის...“

ამგვარი „ტექნიკური სწავლების“ კურსის შეთავაზება ადამიანისათვის, რომელიც სტალინთან ერთად საკუთარი მხრებით ეზიდებოდა დიდი სამამულო ომის საორ-განიზაციო ტვირთს, შეეძლო მხოლოდ საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებულ და ნარცისიზმით დაბრმავებულ (საბოლოო ჯამში კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე)! ადამიანს.

სამწუხაროდ, კაპიცას ეს ახასიათებდა. ამავე დროს, იგი გულწრფელად ურჩე-და:

„საჭიროა, რომ ყველა ხელმძღვანელმა მუშაკმა აგრძელოს თავის ქვეშემრ-დომებს (საინტერესოა, ქვეშემდომთა დარ-წმუნების რომელ მეთოდს გულისხმობდა კაპიცა – ს.კ.), რომ მეცნიერები ამ საქმეში წამყვან ძალას წარმოადგენენ და არა დამხმარეს...“

თუ როგორ ხელავდა საქმის საორგანი-ზაციო მხარეს კაპიცა, ეს უკვე ჩანს 1945 წლის 1 დეკემბერს უშუალოდ ბერიასადმი მიწერილ ბარათში:

„გთავაზობთ შემდეგს. შეიქმნას... რიგი ტექნიკური კომიტეტებისა ყოველი მნიშვნელოვანი ტექნიკური დავალების შესაბამისად... აუცილებელია ჩამოყალიბ-დეს ორგანო, რომელსაც დაერქმევა ტექნიკური კომიტეტების თავმჯდომარეთა საბჭო... მისი ამოცანა იქნება... – დააკვირდ-ეს, დაამტკიცოს, კოორდინირება გაუწიოს სხვადასხვა კომიტეტების მუშაობას, შეარჩიოს კადრები ამ კომიტეტებისათვის (ახალი დარგის კადრები კი არა, ჩინოვნიკური კომიტეტების კადრები – ს.კ.). საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევაში, თავმჯდომარეთა საბჭო... გაიზრდება ახალ დავალებათა წარმოჩენის კვალდაკვალ, ხოლო მისი მითითებით გაიზრდება თვით კომიტეტების რიცხიც“.

განა ზუსტად ისე არაა, როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკი აღნიშნავდა თავის „სხდომებს გადაყოფილებში“:

„ნეტა ჩატარდეს კიდევ ერთი სხდომა, რომელიც საერთოდ აღმოფხვრის ყველა სხდომებს?“

ამასთან ატომურ ენერგიის „ცალკეულ პრობლემურ საკითხებს“ კაპიცა (1945 წლის 1 დეკემბერს) აყალიბებდა არც თუ დიდი პასუხისმგებლობის განცდით:

„ა) ატომური ენერგიის გამოყენება მშეი-დობიანი მიზნით კულტურული განვითარე-ბისათვის;

ბ) ატომური ბომბის დამანგრეველი ძალა...“ და ა.შ.

ფაქტია, რომ 1945 წელს პრიორიტეტების ამგვარად განლაგება შეეძლო მხოლოდ კოსმოპოლიტს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და არა პარტიოტს... კაპიცა არც კი უკვირდებოდა იმას, თუ პოტენცი-ურად როგორი შემაკავებელი როლი ჰქონ-და მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის „ატომური ბომბის გამანადგურებელ ძა-ლას!“ ბერიას კი, როგორც ჩანს, იგი სრუ-ლად ჰქონდა გაახრებული. ყოველი შემთხვევისათვის, 1953 წელს, უკვე დარწ-მუნებული იმაში, რომ რუსეთს მალე ექნე-ბოდა თერმობირთვული „სუპერბომბი“, ფიქრობდა არა თერმობირთვული არსე-ნალის აღვირახსნილ განვითარებაზე, არამედ ატომურ შეიარაღებაზე გაწეული

საზოგადოებისათვის საჭირო ხარჯების გონიერ შეზღუდვაზე (უფრო სწორად – ოპტიმიზაციაზე)! იგი იღბა თავდაცვისათვის აუცილებელი მარაგის საკმარისობის პოზი-ციაზე. და სწორედ ეს წაუყენეს მას ბრალდებად, სადაც მას „დაუსწრებლად“ ასამართლებდნენ!

სამწუხაროდ, თემაზე „ბერია და სწავლულები“, სადაც უამრავი რამ არ მეტყველებს სწავლულთა სასარგებლოდ, უსასრულოდ შეიძლება საუბარი (თუნდაც ის რად ღირს, როცა პროფესორი ფოკი საჯაროდ იცავდა საკუთარ მეცნიერულ შეხედულებებს სწორედ ბერიას აე-ტორიტეტზე დაყრდნობით, თავისთავად ბევრ რამეს ხდის თვალსაჩინოვად).

მაგრამ მე რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მხოლოდ აკადემიკოს სერგეი არკადის ძე ვეკშინსკიზე. იგი ფსკოველი იყო, დაიბადა 1896 წელს, 1914 წლიდან 1916 წლამდე სწავლობდა პეტროგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1916 წელს მთავარი საარტი-ლერიო სამმართველოს მიერ მივლინებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საკუთარი სურვილით დაბრუნდა მაშინ, როცა სამოქალაქო ომგადატანილ რუსეთს ძალიან უჭირდა (მოგვიანებით კი, როცა რუსეთში ყველაფერი დალაგდა, კაპიცა ძლივს ჩამოიყვანეს კემბრიჯიდან) და სწავლა განაგრძო ღონეცის პოლიტე-ქნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე, 1922 წელს კი მუშაობა დაიწყო ლენინგრადის ქარხანა „სეველანაში“.

1945 წლის 15 დეკემბერს, უკვე სახელ-განთქმული მეცნიერი განცხადებით მი-მართავს მალენკოვს. რამდენადღაც უსარგე-ბლოა კაპიცას წერილი პრაქტიკულ პლან-ში, იმდენად ფასეულია პრაქტიკულ სფერ-ოში ვეკშინსკის წერილში წამოწეული აზრები, რომელიც მალენკოვმა ბერიას გაუგზავნა რეზოლუციით: „პირადად ამხ. ლ.პ. ბერიას. გთხოვ გაეცნო ამ წერილს. ვიცნობ ვეკშინსკის როგორც სერიოზულ მუშაკს. 27.XII“.

აი, ეს წერილიც: „დრმად პატივცემულო გიორგი მაქსი-ილიანეს ძეგ!“

ამხანაგმა მახნველმა მე ჩამაყენა საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ ჩემი ლაბორა-ტორია ჩართულია ელექტრომაგნიტური მასს-სეპარატორების შექმნის სამუშაოებ-ში.

რახან ასეა საჭირო, მე მთელ ჩემს ძალ-ისხმევას მოვახმარ საერთო საქმეს, რათა შემსუბუქდეს ამოცანის შესრულების სიმბ-იმე. მე კარგად ვაცნობიერებ მის მნიშვნელობას.

ამხანაგ ვანნიკოვთან ჩატარებული კომიტეტის სხდომაზე, სადაც მეც ვიყავი მიწვეული, მე დამარწმუნეს ამოცანის რე-ალობაში, მაგრამ თვით ამოცანის დასმა ხდება ისეთი ორგანიზაციული უთავბოლო-ბით, რომ წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. საქმე იმაშია, რომ პრაქტიკულად მომუშავე მასს-სეპარატორის შესაქმნელად უნდა გადაიჭრას 95 პროცენტი საინჟინ-რო-ტექნიკური და 5 პროცენტი პრინციპუ-ლად ფიზიკის საკითხები.

ახლა ამ საქმის გარშემო თავმოყრილი არიან მხოლოდ ფიზიკოსები და ყურადღება ექცევა მხოლოდ ფიზიკურ კვლევათა ორ-განიზაციას. <...> ვარაუდობენ, რომ შემდეგ (როდის?) ყველაფერი ქარხნები გააკეთებენ. ეს ძირეულად მცდარი შეხედულებაა. და გუგულის მიერ ცარიელ ბუდეებში ჩადე-ბული კვრეტები მალე გალახვებიან, ვიდრე მისვლან თუნდაც ერთი ბარტი გაშიჩვენება.

<...> ფიზიკოსებს ეს საკითხი დიდი ხნის წინ გადაჭრილად მიაჩნიათ. მე ვფიქრობ, რომ ფიზიკოსები (მეც ფიზიკოსი ვარ, მა-გრამ, „გაფუჭებული“ – „მეპარხნე“) არიან ის ადამიანები, რომელთაც ბევრი რამ იცინა, რათა საქმე ხარისხიანად აეკეთონ. სამწუხაროდ, ჩვენი ინჟინრები ბევრ რამეს აკეთებენ, რომ კარგად შეისწავლონ ფიზიკის სახსრები. <...> ესე იგი, საჭიროა ისეთი ორგანიზაცია, სადაც ერთ კოლექ-ტივად ჩამოყალიბდებოდნენ ოსტატებიც, ფიზიკოსებიც და ინჟინრებიც (ამ ბოლო სიტყვებს ბერიამ ხაზი გაუსვა – ს.კ.).

<...> სხვადასხვა ადგილებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზაცია მიმ-დინარეობს დროებითი სქემების შესაბამისად. ამიტომ, აქ აუცილებელია

ისეთი სამეცნიერო ცენტრების მოწყობა, სადაც 8-10 თვის შემდეგ მაინც შესაძლე-ბელი გახდება სამუშაოების ნორმალურად წარმართვა. აკადემიკოს კურჩატოვის წინადადება ძლიერი ტექნიკური განხრის მქონე ინსტიტუტის აგების თაობაზე მი-მაჩნია არა მხოლოდ მიზანშეწონილად, არამედ აუცილებლადაც.

<...>

კომუნისტური საღმთი, გულწრფელად თქვნი მამშობი.

1945 წლის 31 დეკემბერს ბერია ვეკშინ-სკის წერილს უგზავნის ვანნიკოვსა და პერეჟინს და წერს: „გთხოვთ ამხანაგ ვეკშინსკის თანამონაწილეობით შემუშავოთ და სპეციალურ კომიტეტს დასამტკიცებლად წარმოუდგინოთ ამხ. ვეკშინსკის ლაბორატორიასთან დაკავშირე-ბული წინადადებები“.

ასე ჩაეყარა იდეური საფუძველი ელ-ექტრომეცნიერების სახალხო კომისარი-ატის ვაკუუმურ ლაბორატორიას, რომელიც 1947 წელს გადაკეთდა ვაკუუმის სამეც-ნიერო-კვლევით ინსტიტუტად. ამაე-დროულად, ამავე იდეების ბაზაზე შეიქმნა მე-11 საკონსტრუქტორო ბიურო და „არზა-მას-16“, რომლებიც გადაიქცნენ საბჭოთა კავშირის უმსხვილეს და მრავალპროფილ-იან სამეცნიერო-საინჟინრო „კომბინატებად“, რომელიც დღეს უიმედოდ დაფავეს სულს...

პეტრე ლეონიდეს ძე კაპიცა პატივმოყ-ვარე ჩინოვნიკთა კლანს განეკუთვნებოდა და ამიტომაც ვერ გამოძებნა საერთო ენა ბერიასთან. აი, ვეკშინსკი კი მალაღნეო-ბრივი პიროვნება და სიტყვის კაცი გახლ-დათ. ამიტომაც აიტაცა წამსვე ბერიამ მისი იდეები და სასწრაფოდ მოახდინა მათი რეალიზება.

ლიტერატურაში ხშირად ვაწყვებით იმის მტკიცებას, რომ ბერია იყო „საბჭოთა ატომური ბომბის მამა“. მაგრამ, რომელი მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ, ეს ასე არ არის. მაგრამ, აი, საბჭოთა ატომური ინ-დუსტრიის მამად იგი უუჭველად უნდა ვაღიაროთ, თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში აღდგეს ისტორიული ტექნოლოგიები. პრაქტიკულად „ბერიას ეპოქაში“ შეიქმნა სრული „ატომური“ ინფრასტრუქტურა, რომელიც მის შემდეგ მხოლოდ ვითარდ-ბოდა.

მაგრამ იგი ამ თავისი წარმატებით არასდროს ტრახახობდა და არც მისი რეკლამირების (თვითრეკლამაზე ხომ საუბარიც კი ზედმეტია) უფლებას აძლევდა ვინმეს. მისი დაპატიმრების შემდეგ სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი პომაზნიოვი ცკ-ს ბარათში, 1953 წლის 2 ივლისს, წერდა:

„მადლიერ შენობები ბერიას საკუთარ პირმშობლად მიიჩნდა (ჰქონდა კიდევ ამის უფლება – ს.კ.). ერთხელ მესმოდა როგორ ამბობდა იგი, სხვები ათჯერ მაინც გადაიღებდნენ სურათს ამ შენობებთან, ჩვენ კი უნდა ვაშენოთ და ვაშენოთ“.

ამრიგად, თვით არალაღმდროსა პო-მაზნიოვმაც კი მისდაუნებლად გაუსვა ხაზი ბერიას პიროვნულ თავმდაბლობას. ამას ხომ ადასტურებს თუნდაც ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა „საბჭოთა კავშირის მიერ ატომური იარაღის დაუ-ფლებასთან დაკავშირებული მასალების კრებული“, რომელიც სპეციალური კომიტეტის სამდივნოს მიერ იქნა მომზად-ბული 1952 წელს! ყველა მის ქვეთავს პი-რადად ლავრენტი ბერიამ გადახვდა და, როგორც ჩანს, მას სურდა შეექმნა ღია საბჭოური ანალოგი ამერიკული სახელისუ-ფლებო ანგარიშისა აშშ-ში ატომური ბომბის შექმნის შესახებ.

მაშინ კრებულმა ვერ იხილა მზის შუკი, რადგან ბერიას დაპატიმრებასთან ერთად დაიმარხა ეს იდეაც და ქვეყანამ ვერ შე-იტყო, თუ რა დიდი როლი ითამაშა ამ ადამიანმა საბჭოთა ატომური ბომბის შე-ქმნის საქმეში. ვერც სხვა გმირების თაობაზე შევიტყვეო ვერაფერი! ამ სუპერ-ჩაკეტულობის სულელურ შედეგს ჩვენ დღესაც ვიძიებთ. სამშობლომ ხომ ვერ გაიგო – რაოდენ ფასეულია ყოველი ატო-მური დარგის სპეციალისტი სამ-შობლოსათვის და რაოდენ დიდი გმირობა ჩაიდინეს მათ სამშობლოს სახელით! ვერ გაიგეს იმიტომ, რომ დროის რეალურ მასშტაბებში მათთვის არაფერი იყო ცნო-ბილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

“ილორის” აღმოჩენა – ნორჩი ილორელის ტრიბუნა



ბიმი

დაბადების დღეზე პატარა ლეკვი გვაჩუქეს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ლეკვი შეშინებული თვალებით გვიყურებდა და შიშისაგან ცახცახებდა. მისთვის ჩვენ უცხო ვიყავით. მთელი ღამე წამოეშენებდა, დედას ეძახდა.

გავიდა დღეები და შემოგვეჩვია. ჩვენ სახელიც შევურჩიეთ და ბიმი დავარქვით. ტანად პატარა იყო, მაგრამ მისი შიშით ეზოში ჩიტიც ვერ გადმოფრინდებოდა. ღორებს სიცოცხლეს უმწარებდა, თუ დაინახავდა, ახლო-მახლო არ დააყენებდა. მოკლედ, ძალიან შეგვიყვარდა და დაუმეგობრდით ბიმის. სკოლაში გვაცხლებდა, იქიდან დაბრუნებულებს გზაზე შემოგვხვდებოდა, მომხდარ ამბებს ყვოდა გვაგებინებდა, შემომხედოდა რა ჭკვიანი ვარო.

ერთ მშვენიერ დღეს თბილისში გადავედით საცხოვრებლად. ბიმი დროებით იზო ბებოსთან დავტოვეთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ბიმის სახლი არ მიუტოვებია, ჩვენ გველოდა თურმე. მთელი დღე კარებთან იწვა და გველოდა, როდის შევალბოდათ ჭიშკარს. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, სახლში რომ არ გვივლიდა, სოფელში დაუწვია ცუნცული. მეზობლის საქათმეს სტუმრობდა თურმე და კვერცხებს იპარავდა. ამტყდარა ერთი ამბავი, ვისია ეს ძაღლი?! საწყალი ქურდობაში გამოიჭირეს და მისი მოშორება გადაწყვიტეს.

ბაბუა სოფელში რომ ჩავიდა, ბიმის მისი ჩამოსვლა უგრძნია, ქუჩაში გაგარდნა და მანქანას დახვედრია. ყუფა-ყუფით უსაყვედურებია: რატომ მიმატოვეო. ბაბუამ ის მოსაკლავად ვერ გაიმეტა და თბილისში ჩამოიყვანა. სკოლიდან რომ დაებრუნდით, კარებთან დაგხვდა. სიხარულისგან ვტიროდით, ის კი ძაღლის ენით გვეუბნებოდა: თამთა და დიმა, მე თქვენთან დაებრუნდი, ძალიან მიყვარხართ და გთხოვთ ჩემი წუწკობა მაპატიოთო.

რა თქმა უნდა ვაპატიეთ. ბიმი ეზოში დარბოდა. კატას დაუმეგობრდა. ერთად დადიოდნენ სანადიროდ.

11 აგვისტოს გამოგვასახლეს შენობიდან. მაშინ ბიმი სახლში არ იყო. ის და მისი დაქალი ფეფო სასეირნოდ იყვნენ წასულები. ვტიროდით, მეორეჯერ ვკარგავდით მას. ამ ხნის განმავლობაში სად არ მოგვიწია ყოფნა. ბოლოს სასტუმრო „ამირანში“ დროებით დაგვსახლდით. ჩვენ ბიმის დავტოვდით. ერთ მშვენიერ დღეს საგუშაგოსთან შევნიშნე და დავეძახე. რომ შეგვნიშნა, ჩვენსკენ გამოქანდა, სიხარულისგან ცრემლი დააღუპით გადმომდოდა. საოცარი ის იყო, რომ ძაღლიც ტიროდა, გვეხვეწებოდა, ახლა მაინც არ დამტოვოთო.

ვითამაშეთ, სასტუმრომდე გვდია, დაბრუნება არ უნდოდა. ჭკვიანი თვალებით მეხვეწებოდა: „მე ხომ შენი ერთგული მეგობარი ვარო“.

ვინ იცის რამდენ ხანს გველოდა იმ დღეს. ვიფიქრე, გავიპარებო და ჩუმიდ ამოვიყვან მე-15 სართულზე-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

მეორე დღით ვეძებე, მაგრამ ვერსად ვიპოვე.

ბიმომ ის დღე არ გვაპატია, გარეთ რომ დავტოვეთ მარტო... გთხოვ გვაპატიო, დამნაშავე ვართ, შენ ხომ ჩვენი ერთგული მეგობარი იყავი. გთხოვ, დაგვიბრუნდი.

ღამე ციმციმითში

ღამემ ფარდა ჩამოშალა, აციმციმდნენ ვარსკვლავები, მე კი ვზივარ ფანჯარასთან და დაგეძებ ციმციმითში. აგერ მარი, გხედავ რომ კრეფ ვარსკვლავების ღამაზე კონებს და ზედ მაყრი, ბლუჯა-ბლუჯა, მოციმციმე ყაყარებს. მერე როცა დავიდალეთ, ნახად ხელი დამიქნია, ტკბილი ძილი მისურვე და სამოთხეში კვლავ გასწიე.

პაწაწინა კვირტი

პაწაწინა კვირტი ვარ და გაზაფხულს ვუმღერი. არ გაგიკვირდეთ. აბა დააკვირდით ხის ტოტებზე ჩემს პირველ კვირტს, მზისკენ იჭყიტება, თითქოს მზეს ვეღერება: შენ გენაცვალე, თვალები გამახვილინე, რომ ჩემი ღამაში გაზაფხული დაგინახო.

მზემ გაუღიმა, კვირტს მოვალერსა, მოეფერა და ღიმილით უთხრა: მეც მისხარია გაზაფხულის მოსვლა. მაღე დედამიწაზე აპრილი მობრძანდება, ყვავილების ღამაში ეტლით ჩაგვხვევა და გეტყვის: ჩემით იწყება გაზაფხული, ჩემო პატარავ! ზეცა ცისკრის კარებს გაგიღებს და დაგაკუპრავს ცვარ-ნამს, როგორც ცის მანანებს შვენი. დაიწყება ტოტებზე კვირტების გაშლა. ეს კი, ჩემო კარგო, შენი სიმღერის პირველი პანგები იქნება.

ხომ არ შეგეშინდა?

ნუ გეშინია, მაღე აპრილის წვიმა წამოვა, მას შენთვის სიო ხომ მოაქვს, ნუ შეგაშინებს გრგვინის დაწყება, ნუ დაღონდები, აპრილი მოდის და გაღაღდები. მარტის ღრუბელი ნუ შეგაშინებს. ის ხან გაცრემლავს, ხან მოგეფერება.

ხომ არ შეგეშინდა?

მაღე გაზაფხული დადგება, მზე ამობრწყინდება, გულში ჩავიკრავს. მზის ამოსვლა ხომ შენთვის ბედნიერებაა. გეხვეწები, გაზაფხულო, რომ ცა ღრუბლებით არ დახურო. თანდათან გაწვებიან პორიზონტზე ნისლები, სიოს ნელი ფოთლების შრიალი დღისით და ღამით გულში ნანასავით ჩაგვსმება.

ხომ არ შეგეშინდა?

მთიდან გამოქცეული პატარა ნაკადულები ჩქრილად მოვრიან და მოხტიან, სიყვარულის პანგებს გიმღერიან. შენ შესცქერი და გიხარია. აი, მზეც ჩავიდა, სხივების ჩანჩქერი უხვად გადააღვარა უწმიდესის და უნეტარესის, ილია მეორის ბაღში გადგიმებულ პაწაწინა კვირტს.

ნუ სწუხარ პატარავ, გჯეროდეს ჩემი. მაღე გაზაფხული მოვა. შენ ბედნიერი ხარ. ედემის ბაღში რომ გაიშლები და აევაგდება შენი ღამაში ტოტი. აგისრულდება ნატვრა, იგრძნობ გაზაფხულის სუნთქვას და ფეოქვას, ჭრელი პეპელა შეისვენებს შენს ღამაზე გაშლილ კვირტზე. ჩუმიდ მოგეფერება და გაკოცებს.

ქრისტე ღმერთი მეპახოდა ციდან

მთელი ღამე გაშმაგებით წვიმდა, ქრისტე ღმერთი მეპახოდა ციდან, ნუ გეშინინ, დაგიფარავ ციცქნავ, ათი მცნება შეინახე წმიდა. წავიციოთ სახარება ჩემი, გწამდეს მამა ღმერთი, ძე და სულიწმიდა, გაუხსენი გული მამა იოანეს და ახდება შენი ნატვრა წმიდა. აყვავდება შენში ქრისტე ღმერთი, ანგელოზნი გიგალობენ ციდან, ტაძარი შენი სახლი წმიდა, ღვთისმშობელი დაგიფარავს ციდან.

გუძღვნი მაიას და მიშიკოს

თამთა, დაიკო, გეპატივებთ ჩვენთან, ჩვენ თეთრი ეტლით ჩამოვალთ შენთან და ვითამაშოთ რამდენიც გნებავს, სულ ღრუბელ-ღრუბელ ვიფრინოთ ერთად. თამთას სიხარულს საზღვარი არ აქვს

ცას მიაჩერდა, მოელის დაქალს. მთვარე უცინის: ჰეი კუდრაჭავ, ვის ელოდები, ჩემო პატარავ? მთვარე, ხომ იცნობ შენ ჩვენს მარიამს, მასთან მივდივარ და მიმიხარია, საჩუქრად მიმაქვს წმიდა სანთლები, დედის ხელით ჩამონაქნევი... მთვარემ ნათელი მიმოაფრქვია, ცის ვარსკვლავები ააციმციმა და დაქალები ღამაში ეტლით ედემის ბაღში გადმოისტუმრა. ედემის ბაღში ყვავილებს კრეფდნენ, წნადენენ გვირგვინებს ღამაზე ფერებში, მერე პატარა კალათით ხელში სულ ვარსკვლავები კრიფეს ედემში. რა წმიდა არის ედემის ბაღი და ანგელოზნი გალობენ მასში, ქრისტე კი იდგა ჩვენთვის ნატანჯი, გული სწყდებოდა მამთა დაღატუნი. უფლის ანგელოზნი დაღალებენ ზეცაში, კელაპტრები ანთია, ციმციმებენ ედემში, თამთას დაემშვიდობნენ, მიაცილეს სახლამდის, დობილები ტიროდნენ, კარგად ვიყოთ მარადის.

მამა იოანეს

ღამე ფიქრებში გაილია. ცაზე ვარსკვლავები ქრებოდა. ამომავალ მზეს სიყვარულით მივეგებე. მოვეფერე ცას, მიწას და ამომავალ მზეს. უფალო, მადლობელი ვარ შენი, რომ მამა იოანეს შეიღობილი გამხადე. ჭიამაია დედას ეძებდა ყვავილებზე, მე კი ჩემი სულის მოძღვარი. აი, ვიპოვე კიდევ. მზე ოქროსფერ სხივებს ჩუქნიდა დედამიწას. სიცოცხლე იღვიძებდა ქალაქში, მე კი ტაძარში წასახლელად ვეშადები, ვლოცულობ, მამა იოანეს შემახვედრე-მეთქი. ტაძარი მეძახდა და მელოდა. მინდორ-ველი ყვავილებით არის მოფენილი. ყაყაჩო მიდიხის: აბა, შე-მომხედე, რა ღამაში ვარო. ძალიან უხდებოდა წითელი კაბა. ცვარ-ნამისაგან დასველებული კაბა გაისწორა. მორცხვად მიდიხის. ვერ მოვწვევებ, ისეთი ღამაში იყო. დედაბუნებამ ის ხომ სიცოცხლისთვის გააჩინა.

აი, გამონდა ტაძარი. ეზოში მოთბეული ბაღახის სურნელი ტრიალებდა. ჭა გვეპატიუებოდა: მობრძანდით, გენაცვალეთ, ღმერთმა შეგარგოთ ჩემი ცივი წყალიო. სიცოცხლის ნეტარება ვიგრძენი. მზის სხივები ეზოს ყვავილებს ეფერებოდნენ და ცვარ-ნამი იისფრად აუციმციმებს ყვავილებს. ღრუბლის ქულებივით ირევიან ჩემი ფიქრები. თვალებით დავეძებ მამა იოანეს. გეხვეწებით, გამიღეთ თქვენი გულის კარები... როგორ ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე?

მამაო, სახლ-კარი არ მაქვს, მაგრამ მდიდარი ვარ თქვენს წმიდა აგებულ ტაძარში რომ შემიშვით და გზაბნეული გზაზე დამაყენეთ. მშვიდი ვიყავი, მაგრამ მადლობა უფალს, რომ თქვენი თბილი სიტყვებით მაპურებთ. ამ ქვეყანაზე, ყველაზე ბედნიერი სულით მდიდრები ვართ, რადგან თამთას და დიმას მოძღვარი ხართ. უფლის სიყვარულით გგვკებათ, მამაო. ხის ტოტები ისე უნდა გაიზარდოს, როგორც იმ ხეს ძირი აქვს. მეც ხომ ამ ხის პაწაწინა ტოტი ვარ. ვეცდები გასახელოთ. ძალიან, ძალიან გვიყვარხართ. გემუდარებით, შეპ-მატე ჩვენს გულს ძაღლ-ლონე. მამა მენატრება, მან კი მიგვატოვა, გული გვატკინა, შუა ღღაში დაგვტოვა, ნიჩაბიც კი არ მოგვცა, რომ ნაპირზე გავსულიყავით. დღეს ბედნიერები ვართ, რომ სიტყვა „მამა“ არ დაგვკეცია. ვაჟა ფშაველას „შულის ნუკრივით“ მოვრბობარ თქვენთან, რომ თქვენი ლოცვა-კურთხევა მოვისმინო. სარწმუნოება, სიყვარული და სასოება ვისწავლო.

ღმერთო, დაგვილოცე ჩვენი მამა იოანე.

მამა იოანეს

გიცქერ ბავშვური თვალებით, მინდა ვისწავლო დათმენა, დავეძებ სულის სიმშვიდეს, რაც ვერ ვიპოვე ამ ქვეყნად. უფალს ვთხოვ გზა გამინათოს, სწორ გზას მატაროს, მამაო. დედა ღვთისმშობელს მივსტირი, გადამაფაროს კალთაო. ტაძარში სანთლებს ავანთებ, ვთხოვ მამა იოანესო, შემიშვას თავის სამწყემსოს, რომ გავგვე მეც მის ფარასო.

მალული მასწავლებელი

თქვენი თვალები მუდამ სიხარულის ცრემლით არის დანამული, ჩემო საყვარელო მალულო მასწავლებელო. თქვენ ჩემი სამების ტაძარი ხართ. მე თქვენს ყოველ სიტყვას ყურს ვუგდებ და ვსვამ თქვენი გულის წყაროდან გადმოსულ ტკბილ სიტყვებს. მე ამ წყაროზე და მწვანე მინდორზე გავიზარდე. ყველას თავისი გზა აქვს ამქვეყნად, მე კი იმ ბილიკზე გავეყვები, თქვენ რომ დამაყენეთ და გზა დამილოცეთ. შემაყვარეთ საქართველოს ღვთაებრივი ბუნება. მინდა დიდხანს იცოცხოთ, მინდა დიდხანს მესმოდეს თქვენი ტკბილი საუბარი. მე კიდევ შორი გზა მაქვს გასაგლეხი ცხოვრების ბილიკით, ამ ბილიკზე თქვენი ცოდნის ღამაპარი გამიძლევს და გზას გამინათებს, სიბნელეს და სიძნელეს გამიფანტავს და ჩემს სულში შემოანათებს. მე გიხილავთ კეთილი აზრით ამადლებულ ცამდე. ჩვენ, მალული მასწავლებელო, თქვენი ბუდიდან აფრენილი ბარტყები ვართ, რომლებიც გამოზარდეთ და დააფრთიანეთ. გპირდებით, რომ არასოდეს დაგივიწყებთ და კარგი სწავლითა და შრომით დაგაფასებთ თქვენს ამავს.

ასე გლოცავთ ჩემი პატარა გული, ჩემო ძვირფასო მალული მასწავლებელო.

ქრისტეს წმინდა ხომალდი

დედაგს ზღვა და მრისხანე ტალღები აღიძვრებიან, მაგრამ ხომალდი არ დაინთქმის, არ დამარცხდება, უფალი ხომ ხომალდის მამა-ღმერთია, ძე კი მისი მესაჭეა მხოლოდშობილი...

კეთილი ნიაგი სულიწმინდაა, მონაზვნები – ხალხთა სულის მსხნელნი, მენიშეები – ჩვენი მოძღვრები, გემბანზე მყოფი ქრისტიანები.

იალქანი სიყვარულია, ღუზა კი იმედი, ანბა ცხოველმყოფელი ჯვარია ქრისტესი, რასაც გადაჰყავს ჭეშმარიტი მართლმადიდებლები, ამ ზღვის გავლით გავდივართ ცათა სასუფეველში.

ცრემლები

გუძღვნი მზია დეიდას

როცა ვუყურებ მე თქვენს ჭაღარას, თვალთაგან ცრემლის უსაზღვრო დენას

და ეს ცრემლები ცამდის ასული საფლავს აცვივა ბროლის მარცვლებად.

ულმობელია დარდები, გულში ავდება, გულში სევდის ნისლი შემოგაწვებათ, იღვწითებიან თვალებიდან ისევ ცრემლები, შორს გაფრენილან თურმე თქვენი თეთრი მტრელები.

მათ ლოდინში ეს დღეები ნელა მიდიან, ტაძარში ოქროს კელაპტრები ჩუმიდ იწვიან, როგორ გინდათ ოცნებაში განმეორდეს მათი ბავშვობა და ეს ღრმა ტკივილი მონატრების ცამდე მალდებდა.

გაგზდომიანთ დღე და ღამე სულის თანახარი, გიცმციმებთ თვალებზე ცრემლი ობლად მდინარი, ანგელოზნი გალობენ, ცისკარს ელოდებიან და იმ ღამე უძილოს თავზე დაგთენებიან...

თამთა ცაგური, თბილისის მე-60 საჯარო სკოლის IV¹ კლასის მოსწავლე

მეგრული (აღაურ-იფაურ-იბერიული) ენა – გლოგოგონიური ფენოქანი

ის არგუმენტი, რომ მეგრულ ენაზე არ არის წერილობითი ძეგლები შემონახული, არაა საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ე.წ. მეგრული (აღაურ-იფაურ-იბერიული) ენა სამწერლო-სალიტერატურო ენა არ ყოფილა. ამის მოსპობა არ გაუჭირდებოდა იბერიული კვალის აღსაგველად მოწოდებულ „მოღვაწეთ“. ფალსიფიცირებული არგუმენტებიც არ არსებობს ქართულ ენაზე V საუკუნის წინაურ ხანისა, მაგრამ ბევრი თანამედროვე მეცნიერი ჯიუტად ებღალჭება ლეონტი მროველის ნახევრადტყუარ „ქართლის ცხოვრებას“ და ცდილობს დამტკიცოს, რომ ფარნავაზის დროიდან აღარ ირაცხებოდა (იბერიაში) „სხვა ენა თვითნებურ ქართულისა“, მაშინ, როცა უსირცხვილოდ უგულვებელყოფენ უცხოურ ცნობებს იბერიული დამწერლობის პირველობის შესახებ. „ცნობილი გერმანელი მეცნიერი ს. კრაუსი, ჯერ კიდევ, 1899 წელს წერდა: „ღიაფერიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული არსად არ აკლია და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპექტიულ ენათა 15 დამწერლობას შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილასაა ნახსენები... ჩვენ მიერ მიმოხილული წყაროები იმდენად სანდოა, რომ გაუმართლებელი ხდება ყოველგვარი ეჭვი იბერიელთა დამწერლობის ირგვლივ“ (მ. ქუთაიანი, „ქართული ენა და დამწერლობა“. 2008, გვ. 19). ამასვე ამტკიცებს აკად. შ. ძიძიგური (იხ. შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, 1982, გვ.12).

გარდა ამისა, ჩვენი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) თვითონ ამტკიცებდნენ იბერიულ წარმომავლობას და თავის პირველობას მსოფლიოს დამწერლობათა შორის (იხ. ჩვენი კონკა კოლხის ფსევდონიმით „მეგლოლხური ენის საიდუმლოებანი“); მეგრული (აღაურ-იფაურ-იბერიული) ენა, ჯერჯერობით, ერთადერთი ენაა მსოფლიოში, რომელიც დღემდე ინახავს სამეცნიერო ბეგრების წარმოშობის მექანიზმებს [იხ. ჩვენი მეგრულ (იბერიული) ენის ბეგრათა წარმოშობისა და მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხი და რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები? (ქალი აია, 2010, №2(14)), რასაც აკად. გ. ახვლედიანის სიტყვით, „შეუძლია გადამწვევები სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბეგრის გამოყენება სამეცნიერო მასალად“ (გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390); მეგრული (აღაურ-იფაურ-იბერიული) ენის ერთი რიგგვარ ჩვენი სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის დეკლარაციის ძირითადი ფორმების ჩასახვისა და თანამედროვე ფორმებზე ჩამოყალიბების გზა [იხ. ჩვენი, რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?, ქალი აია, 2010, №2(14)] ეს კი ნათელს პოვებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა პირდაპირი მემკვიდრეა დასაბამიერი აღაურ-იფაურ-იბერიული ენისა.

ამიტომ ერთხელ კიდევ აღვნიშნავ, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა ქართული არის დასაბამიერი აღაურ-იფაურ-იფაურ-იბერიული ენის განშტოებული – სვანურისა და ქართლის ამ ძირითად ენასთან ისევე კონსოლიდაციით მიღებული ენა, ოღონდ დღეისათვის უფრო გამარტივებული და დახვეწილი, სრულად გახმოვანებული და გრამატიზირებული ახალი კლასიკური აღაურ-იფაურ-იფაურ-იბერიული ენა, ხოლო ე.წ. მეგრული არის იგივე აღაურ-იფაურ-იბერიული, არქაული მონაცემების დღემდე მფლობელი, შეუდარებელი სიმდიდრისა და გამომსახველობით უნარის მქონე ენა და ეს ორი, თითქოსდა, სხვადასხვა ენა, სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, როგორც მავანთ სურთ იყოს, არამედ ერთიდაიმავე ერის ერთიდაიგივე ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.

რა მიზანი აქვთ ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებას“ და მათ მიმდევარ „ქართველ“ მეცნიერებს?

მიუხედავად იმისა, ბერძნულ-რომაული წყაროები მხოლოდ იბერიას იცნობენ და კარის მეხოლოდ – არმენიებიც ქართველებს ვრაცებს გვიწოდებენ დღემდე (ეთნიკური სახელწოდება ვრაც ქართველიდან კი არა, იბერიელიდან არის ნაწარმოები: იბერაც – იფერაც-იფერაც-ერაც) და შემდგომ ინგლისელი ისტორიკოსი ჰენრი რაუპინსონი და აკად. ექვ. თაყაიშვილი ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნიდან ახ. წ. აღ-ის VI საუკუნემდე ქართის ტომს განიხილავენ იბერიის შემადგენლობაში, ლეონტი მროველი და მისი მიმდევარი ამ ისტორიულ ჭეშმარიტებას არაფრად აგდებენ, იბერიის არსებობას იგნორირებას უწევენ (ერთი სიტყვითაც

არ მოიხსენიებენ იბერიას და იბერებს). ლეონტი მროველი: „აქამოდის ქართლისიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთა დაუტყვევს ენა სომხური და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული.

და იყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა. რამეთუ ცოლ-ქმრობისათჳს არა უწნდათ ნათესაობა: და ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არ იყო, მეუღლარს შესჭამდეს“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I. 1955, გვ.16). შემდეგ ლეონტი მროველი ანუ ვითარებას აზრს, რომ სომხები და ქართველები ახლოს არიან ერთმანეთთან, ერთად ებრძვიან საერთო მტერს, ხოლო იბერები მისთვის არ არსებობს. მივაქციოთ ყურადღება, ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნემდე ქართული ენა არ არსებობდა, მანამდე მათი ენა სომხური იყო, ხოლო „ამან (ფარნავაზმან, კ.ე.) განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ („ქცა“ ტ. I, 1955, გვ. 26). ამ დროისათვის ფარნავაზს ლეონტი მროველის ცნობით ეგრისი შემოერთებული აქვს და აღმოსავლეთ-დასავლეთი ქართლია. X საუკუნის სომეხი მეკლევარის უხტანესის მიხედვით ნაბუქიდონოსორმა ძვ.წ. აღ-ის VI ს-ში ვრაცები (იბერები) დასახლა შავი ზღვის პირას. ე.ი. ქართლი, ანუ აღმოსავლეთ – სამხრეთ საქართველო სომხების კუთვნილება ყოფილა და ამიტომაც იმუქრებოდა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები, თუ ნებით არ დაგვიტოვებთ ამ ტერიტორიას ძალით წაგართმევთო [(იხ. „მოგზაურობა ახალქალაქში...“, გ-თი ასავალ-დასავალი, 2009, 17-23 აგვისტო, №33(778)]. „ქართველი“ მეცნიერებიც ლეონტი მროველის ზემოთ აღნიშნულ ცნობას იშველიებენ და თავიანთი შრომები მასზე დაყრდნობით შექმნეს; ყველა ისინი იმ აზრს ანვითარებენ, რომ ქართული ენა ფარნავაზის დროიდან სამწიგნობრო და სახელმწიფო ენაა, ხოლო იბერია იგივე ქართლია. რამდენად სანდო და სარწმუნოა ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ეს სხვა საკითხია, მაგრამ როცა მას უტყუარ ისტორიულ წყაროდ ვივლებთ, ისიც ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნემდე ქართლისიანთა ენა სომხური იყო, ხოლო კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები სომეხთა კუთვნილება. აქ უკვე ცხადდება ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს და მის მიმდევარ „ქართველ“ მეცნიერთა მიზანი.

ახლა გავარკვიოთ რამდენად სანდო და სარწმუნოა ლეონტი მროველის ცნობა ფარნავაზის მიერ სახელმწიფო და სამწიგნობრო ენად ქართულის მიღების შესახებ და მათ მიმდევართა მიერ განვითარებული აზრი. ამისათვის შევადაროთ ერთმანეთს დონლისონ სიონის ტაძრის კედელზე და იერუსალემის ლაზთა მონასტრის იატაკზე დატანებული წარწერები. შემდეგ „შუშანიის წამების“, „ცხრა მძა კოლაელთა“ ტექსტისა და XIII – XIV საუკუნის მღვდლის მაკარ მესხის თხრობისა და გაგვინების დონე ერთმანეთს:

V საუკუნის ბონისის სიონის ტაძრის წარწერა:

„ჩახსენილია ღმრთისათა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, მეოხებითა წმინდისა ღმრთისმშობლისათა, წმიდისა გრიგოლისათა მე. გლახაკმან (!) ელია ბოლნელად მღვდელთმოდერად ღირს ექიმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისა და ამას საყდარსა წმინდისათა არა დებულყო კურასხაძლთა. მე დავდე და ზედაშე დამისთველთათჳს საგალობელად ღმრთისა, აღიდგენ ღმერთმან დავით მამფალი და შვილი მათი და აბუღ მამფალი და აწ, ვინ შემდგომად ჩემსა ეს დამისთვედა და ზედაშე ამის ეკლესიისაგან ფიროსანთა შეუცვალოს შეწუგებულმცა არს ღმრთისაგან და ამის საყდრისაგან. ვინ ეს აღკოცოს კანონსა ქუეშემცა არს“.

V ს-ის იერუსალემის ლაზთა მონასტრის წარწერა:

„შეწევითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეისთა შეიწყალდენ ანტონი აბად და იოსია მომსხმელი ამის სუფისად და მამადედება იოსიამსი ამენ“.

XIII – XIV ს-ის მღვდელ მაკარ მესხის თარგმანის ფრაგმენტი V საუკუნეში მოღვაწე ზაქარია ქართველის თხზულებიდან „პეტრე იბერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“:

„ხოლო აწ უკვე ჯერ არს და სათანადო, რათა პირველად ვაუწყო ღმრთის მოყუ-

რებასა თქვენსა, თუ ვინაა აღმოსცენდა ნერგი ესე საღმრთო და ოდეს სადა, და მერმე უწყებად საკრველი იგი მოქალაქეობა მისი და დიდებულებად საკრველებათა და სასწაულთა მისთა. და რამეთუ არა სხუათაგან თხრობელსა, გინა სხვსაგან სმენილსა მოქნე აღწერად, არამედ რომელსა თვით თუალითა მხელველ ვიქმენ, იგი აღწერო, რამეთუ სიყრმითგან შეუდეგ მე წმიდასა მას, ვითარცა შვილი ერთგული, სადაცა იგი არნ და სადაც წარვალნ“.

როგორც ვხედავთ, ყველა ამ ტექსტების თხრობისა და გაგვინების დონე ერთნაირია.

ახლა შევადაროთ ამ ტექსტების თხრობისა და გაგვინების დონე იოანე პეტრიწის ნაშრომის ბოლოსიტყვაობიდან ამოღებულ ზემოთ წარმოდგენილ ფრაგმენტებს. დამეთანხმებით, რომ ამ ბოლო სამი სხვადასხვა ტექსტის შინაარსი – ყველაფერი გასაგებია, ხოლო იოანე პეტრიწის თხრობის შინაარსი ნახევარი გაუგებარია, ამიტომ საჭიროებს თარგმნას.

რა დასკვნა შეიძლება გააკეთოს აქედან ობიექტურმა მეკლევარებმა?

X საუკუნის წინაურ ხანისად მიჩნეული წერილობითი წყაროები, შესრულებული ქართულ ენაზე, არცერთი არ არის XII საუკუნეზე ადრინდელი და ფალსიფიცირებულია იმ მღვდელმსახურების მიმდევართა მიერ, რომელთაც ზედმეტად გაუტკბათ ქართლის ჰეგემონობა, ჰეგემონის მიცენენ და, შემდგომ, რუს-ურბნისის კრების განაჩენი და გაკრეჭვა დამოსახურეს.

წმინდა წერილები იოანე ლაზის უშუალო მონაწილეობითა და მეთაურობით, უეჭველად, ითარგმნა იბერიულ ენაზე, რომელსაც გრამატიკულ საშუალებათა სიმდიდრითა და შეუდარებელი გამომსახველობითი უნარით, თამამად შეიძლება ითქვას, დღესაც მეტოქე არა ჰყავს მოდერნოში და მას წმინდა წერილების უზადოდ თარგმნა, ნამდვილად, არ გაუჭირდება. აქედან კი, შეიძლება, წმ. წერილები ეთარგმნათ ქართულ ენაზე, მაგრამ არაუადრეს XI საუკუნისა.

გონიერ მკითხველს, უეჭველად, დაებადება კითხვა: როგორ შეიძლება, ფარნავაზის ეპოქიდან, ცამეტსაუკუნოვანი სამწიგნობრო-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ენა იოანე პეტრიწის ეპოქამდე მდებარე ენად დარჩენილიყო, როცა ისეთი პოტენციალის ყოფილა, რომ პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, შეძლო ერთერთ კლასიკურ ენად ცქუელიყო მსოფლიოში?

როცა გაეცნობა ამ წერილს, სუსტად მოაზროვნე პატრიოტმა შეიძლება ანტი-ქართველობა დამაბრალოს, მაგრამ გონიერი ქართველი აუცილებლად მიხვდება, რომ ლეონტი მროველის ნახევრადტყუარ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ზე დაყრდნობით იბერიულ მონაპოვართა წაშლის მცდელობა და მტკიცება ფარნავაზის დროიდან ქართული ენის სამწიგნობრო და სახელმწიფო ენად არსებობისა, ერთი მხრივ, დაუმსახურებელ უპირატესობას აძლევს სომეხ ერს და ქართველების წინააღმდეგ წარმოაჩენს, რაც ტერიტორიული პრეტენზიების საფუძველს აძლევს მათ; მეორეს მხრივ, როცა გარე სამყარო, სახელმწიფოს სახელწოდებით საქართველო XIV საუკუნემდე არ იცნობს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000, აფხაზე-განამარტება), ხოლო იბერები „ქართველ პატრიოტთა“ მოღვაწეობით ქართულ წყაროებში ისეა წაშლილი, რომ თითქოსდა, არასდროს არსებულა, გარე სამყაროს და, მით უმეტეს, აგრესიული მეზობლების თვალში, მართლაც, ჩანს „ქართველები – გაურკვეველი წარმომავლობის ერად“ და ის ჩვენი შეცდომების გამოწვევებს კი არ შეუდგება, არამედ ისარგებლებს ჩვენი გონებრივი სისუსტით და ამ სამოთხის საღარ მიწაზე ცხოვრებას არ გვაპოტებს, ამიტომ არც ჭიჭილადი ამორტემა მოგვერიდებიან და არც სულში ჩაფურთხებას.

სინამდვილეში კი, ქართველებს, ნამდვილად გვაქვს საფუძველი ვიამაყოთ დასაბამიერი უძველესი წარსულით, აღაში-ოცობითა პირდაპირი მემკვიდრეობით, თვითმყოფადი კულტურითა და განათლებით, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ არგუმენტირებულად წარმოვადგინეთ, მაგრამ, მიუხედავად მრავალჯერადი მიმართვისა და თხოვნისა, რომ განეხილათ ჩემი გამოკვლევები და გაეკეთებინათ ობიექტური და არგუმენტირებული დასკვნები, პატ. მეცნიერები მფორხარისხოვან საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას, ხოლო ძირითად საკითხებს, თავს არიდებენ, ან მოკლევ პასუხობენ: კ. ფიფიას ნაშრომი მეცნიერული არ არის, ეს ჩვენს სამეცნიერო სფეროს არ განე-

კუთვნებაო [საუბარია ნაშრომში „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“ განხილული ძირითადი ფორმების ჩასახვის, განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესზე. მაგ., ყველი-სა და სხვა სიტყვების საერთო ძირის ჩასახვისა და ჩამოყალიბებისას გაყოლილ ევოლუციის გზაზე (იხ. ქალი აია, 2010, №2(14), გვ. 50)]. ჩემს მიერ წარმოდგენილი კვლევა მათი შეფასებით არამეცნიერულია, ხოლო სიტყვა ყველის წარმოშობის მათ მიერ წარმოდგენილი შესვლელება [ყავ-ყვ-ყ-ყავ; ყ-ყ; ვი-ყოფი; გან-ყო; შე-ყო (შე-ყო); ყ-ყელი- (იხ. პ. ფენიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000, გვ. 520)] მეცნიერულია, ე.ი. მათი მეორე პირის ზმნა ჯგ მეცნიერულია, ხოლო ჩემი იგივე ზმნა წარმოდგენილი მესამე პირში ჰყოყო არამეცნიერულია.

ცხადია, მათ სწორად შეაპირისპირეს ქართ. ყ-ყელი და მეგრ. ვ-ალი, მაგრამ ვერ არკვევენ ყმ ქირისეული ფორმების ეტიმოლოგიას და, რადგან თვითონ რეგულირებით დახუნდული მეცნიერები ვერ წვდებიან ძირითადი ფორმების წარმოშობისა და განვითარების სიღმეებში, სარგებლობენ რა ჩემი სამეცნიერო ხარისხის უქონლობით, ზურგს უკან, არასპეციფიკურებს ეუბნებიან, ფიფიას სათანადო ცოდნა არა აქვს და მისი შრომები არამეცნიერულია.

თუ სამეცნიერო ტიტულებით დატვირთული მეცნიერთათვის ქართულ-მეგრულ-სვანურ-ლაზური სიტყვების საერთო ძირისეული ფორმების დადგენა მეცნიერულია, რატომ არაა მეცნიერული, უფრო რთული, ბეგრების წარმოშობის მექანიზმებისა და სიტყვათა ძირისეული ფორმების სინქრონული და დიაქრონული პროცესის შესწავლა?

საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რომელიმე თანამედროვე მოქმედ (სამწერლობო) ენას გააჩნდეს ენობრივი მონაცემებისა და შესაძლებლობების ის ბაზა, რომელსაც შეუძლია ჩაწვდეს სამეცნიერო ბეგრების და მეტყველების წარმოშობის, ასევე, სიტყვათა ძირისეული ფორმების ჩასახვისა და ჩამოყალიბების საიდუმლოებებს. ამიტომ აკრძალეს ოფიციალურად 1866 წელს, პარიზში მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა. ეს უნარი აღმოაჩნდა ერთ დროს დაწუნებულ მეგრულ (აღაურ-იფაურ-იბერიულ) ენას, მაგრამ ეს აღმოვაჩინე მე, სამეცნიერო ხარისხის არმქონე მეკლევარმა და ამის გამო ჩემი მიგნებების არამეცნიერულად ჩათვლა, ამით ამ აღმოჩენათა დაბლოკვა და სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ცრუ დოგმების ჭეშმარიტების რანგში სწავლების ჯიუტად გაგრძელება, რომ არაფერი ვთქვათ სხვებზე, რამდენად ზნეობრივად და სასარგებლო თვით ამ მეცნიერთა შეილებისა და შეილიშვილებისათვის, შთამომავლობა საკადრისად შეაფასებს. მაგრამ საინტერესოა, რამ გააბრძოლა, რამ გაამხეცა და რამ დასცა ზნეობრივად ასე დაბლა მეცნიერები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების რაციონალურ წესებს უნდა იკვლევდნენ და ამკვიდრებდნენ სოციალში, რომ ვერ ელევინა პირად ევოლუტურ ამბიციებს და საკუთარი შთამომავლობის ტრაგიკულ მომავალს ვერ აცნობიერებენ?

როგორც შურიან და ევოისტ სუბიექტებს სჩვევიათ ხოლმე, თუ მე არა არც სხვასო და, როცა იმდროინდელი სამეცნიერო საზოგადოება ვერ ჩაწვდა მეტყველების წარმოშობის საიდუმლოს სიღრმეში, ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა კაცობრიულისათვის სამარადისოდ დაკარგულად ჩათვალა და ოფიციალურად აკრძალა მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა, ე.ი. ენათმეცნიერებმა თვითონ აღმართეს ბარიკადები თავიანთ წინაშე და ვიწრო ჩარჩოებში ჩაიკეტნენ. სამწუხაროდ, იმ ხანად გადაუღალავ ბარიერად მოწვევებულ ჩარჩოს შიგნით მოჰყვნენ ქართველი მეცნიერებიც, მაგრამ თუ არსებობა უწერია საქართველოს და თანამედროვე შურითა და ევოიზმით გაუხეულდა სუბიექტებმა აღნიშნული ბარიკადების გარღვევას არ არჩიეს ქართველი ერის საერთოდ მოსპობა, მჯერა, ჩვენი გონიერი ახალგაზრდობა მაინც გაარღვევს ამ ხელოვნურად აღმართულ ბარიერს და ღირსეულ სიტყვას იტყვის მართლმართლ საენათმეცნიერო საზოგადოების წინაშე მდგარ ამ უმთავრესი პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლაში.

(დასასრული)

კუპური ვიფია, „ზაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი.

გეო შვილებოდა დაშუქებულ
საქართველოს სომხეთის მხრიდან
რომავალში (მისი ეს წინასწარმ
წყვეტლება ახლა კიდევ, რადგან
საქართველოს ანექსაციის
სთვის სომხები გამოიყენა
ლორეს ნეიტრალიტი ზონაში
თათარი აჯანყების ინცენდირებით
რომლებიც მეშვეობით, რითაც
„საბაბი“ მიეცა საქართველო
ანექსიის დასაწყებად), მისი ასეთი
კატორ მოთხოვნა კი ამ საფრთხე
იცვლი პრაქტიკოსებს ისახავდა მის

[illegible]

ზურაბ ჯამბურია
პოლიტოლოგი

პალეოზოოლოგი ალესარაბაილი

„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში „ამბროსი აღმსარებლის“ სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.



მორიგი მოვლენა, რომელიც სრულფასოვნად გაითავისა ნიჭიერმა მოსწავლემ ბესარიონმა, და შესძრა მისი სულიერი სამყარო იყო, რომ მეოთხე საუკუნიდან საქართველოს ყავდა დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურები ანუ მთავარეპისკოპოსები, კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსები და კათოლიკოს-პატრიარქები, გამორჩეული ცოდნით. ეს საპატიო ტიტული რუსეთის იმპერიამ 1810 წელს გააუქმა, ანუ საქართველოს თვითნებურად წაართვა ავტოკეფალური უფლება და შემოიღო საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა და 1811 წლიდან მოყოლებული რუსი მიტროპოლიტები და მთავარეპისკოპოსები მართავდნენ ივერთა მრევალსაუკუნოვან სასულიერო ცხოვრებას.

იმჟამინდელი ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი ევსევი ილინის ვერ გამოირჩეოდა ნიჭიერებით და სიწმიდით. ამიტომ ქართველი მღვდელმთავრები ამას ხმამაღლა აღნიშნავდნენ და მოითხოვდნენ მის გადაყენებას.

მოწინავე იდეის მასწავლებლები თავშეკავებით, მაგრამ მაინც საუბრობდნენ ქვეყნის საჭიროებებზე.

იმჟამად მარტვილის სასწავლებელში არ ფუნქციონირებდა რაიმე ანტირუსული ფარული ორგანიზაცია. ამის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ გვაქვს, თუმცა თბილისის სასულიერო სემინარიაში 1873 წელს აღმოაჩინეს წრე, რომელიც ეწეოდა ხალხისათვის სასარგებლო პროპაგანდას, თუმცა ანტირუსული მოძრაობა არ გავრცელებულა რეგიონებში, რადგან წინასწარ იქნა მიღებული ზომები. გავრცელდა სპეციალური წერილი სასწავლებლის გამგეებისათვის, რომელშიც ნათქვამი იყო „მომავალი დღის მსახურნი, თავიანთი ციური მოვალეობის შესრულებისათვის უნდა ემზადებოდნენ და არა ბუნებისა და არეულობის მოწყობისათვის“.

ბესარიონ ხელაიამ გამოსაშვები გამოცდებით წარმატებით ჩააბარა და სხვა ექვს მოსწავლესთან ერთად მიეცა საშუალება თბილისის სასულიერო სემინარიაში უგამოცდოდ ჩარიცხულიყო.

ერთმანეთთან გამომხილები წინ მოსწავლეებმა საერთო ტრაპეზი მოაწყვეს. შემდეგ თითო მანეთი შეაგროვეს, მარტვილის ერთ ღუქანში დასხდნენ ივანეშვას და ცოტა ღვინოც დალიეს.

უკვე თბილისში იმყოფებოდა ბესარიონი, რომ 1880 წელს კვლავ ცეცხლის აღში გახვიეს მარტვილის სასულიერო სასწავლებელი და დაფერფლეს.

სასწავლებელმა ფუნქციონირება უკვე ახალ სენაკში გააგრძელა. ზოგიერთი მასწავლებელი გადმოვიდა სასწავლებელს სენაკში, უმრავლესობა კი ახალი მიიღეს. სასულიერო სასწავლებლის პედაგოგთა რიგებში იყო ცნობილი მწერალი ვასილ ბარნოვი.

თბილისის სასულიერო სემინარია დედაქალაქში

ახალი სენაკის რკინიგზის ვაგზალზე ხალხი ირუდა. მიმდებარე ტერიტორია სავსე იყო ცხენებით, ფიჭვნებებით, ურმებით. ფუტკარივით არეულ მაზარათა შორის ათო-თორმეტი წლის ბიჭუნები ღოჭითა და ჯადით ხელში დაცუნეულებდნენ და ცივ წყალს სთავაზობდნენ შეკრებილთ.

მეზავრთა შორის თერამეტი წლის ბესარიონი და მისი მამა ზოსიმე იყვნენ.

ეს ის დროა, როცა რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს და საომარი მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობს. ომში ჩათრეულ იქნა საქართველო. მისი სამხრეთი და დასავლეთი ოლქები. შეტევები ქობულეთისა და ციხისძირის მიდამოებში რუსეთის შენაერთების მარცხით დაიწყო.

ამან გურია, სამეგრელო, იმერეთში საშიშროება წარმოშვა. მოსახლეობა მოიცვა პანიკამ. მეფისნაცვალმა რომანოვმა გამოიყენა ეს მდგომარეობა და მასიური მობილიზაცია გამოაცხადა. ქვეყნის დაცვის სურვილით აღტკინებული ქართველი მეომრები მღვდელად გადაუდგნენ მტერს და უკუაქციეს იგი.

ახლა ყველა ომზე ლაპარაკობდა. მთელი მეზავრობის მანძილზე ბესარიონს ომის შესახებ საშინელი ეპიზოდები ესმოდა.

თვალი არ მოუხუჭავს. ერთი სული ჰქონდა დედაქალაქი შესასვლელიდანვე განახა. ყველაფერი დაემახსოვრებინა. გარკვეულიყო, რადგან, ეს თბილისთან მისი პირველი შეხვედრა იყო.

ვაგონიდან მიდამოს გასცქეროდა და გორაკებს შორის გაწოლილ მტკვარს უმზერდა, თუმცა რატომღაც ჩვეულებრივი მოერყნა ბებერი და პოეტის სულის მე-საიდუმლო მდინარე.

ზოსიმემ უკვე წინასწარ იცოდა, ვისთან მისულელი. ვაგზალში მისულებმა ბარგი ეტლში ჩადეს და თანასოფელეო ჰიპატუსას სახლისაკენ გაეშურნენ, რომელიც ვაკის ფერდობზე სახლობდა.

ბესარიონი აქ დარჩებოდა რამოდენიმე დღე, შემდეგ სასწავლებლის საცხოვრებელში გადაბარგდებოდა.

ორი დღის ჩამოსულები იყვნენ მამაშვილი თბილისში, რომ ომი დაითავრდა.

ყველა ერთმანეთს ულოცავდა ამ ბედნიერ დღეს.

მიდიოდნენ ეკლესიებში, სანთლებს ანთებდნენ, პარაკლისს იხდიდნენ...

მუხთარ-ფაშას ჯარის განადგურებით აღმოჩენილი გრიგოლ ორბელიანი სოფო ორბელიანს წერდა: „ასე ჩემო სოფო, უკეთილ-მსახურების დიდი იმპერატორის ძლიერება და ძაღვსა საუკუნოდ მაშაღი-აბოდა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა და ჩვენნი ძმანი, ძველი ქართველნი განთავისუფლდა“.

იყვნენ ომში საქართველოს მონაწილეობის მოწინააღმდეგეები.

ქართველი ინტელიგენცია აღაფრთოვანა ბერლინში დაღებული ტრაქტატის იმ ნაწილმა, რომელიც ეხებოდა რუსეთის მფლობელობაში ბათუმის, არტანუჯის და ყარსის დამტოვებას. თუმცა შავშუთის მთის უკან მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ისევ თურქეთის მონობაში რჩებოდა.

ბესარიონი მაშინთან ერთად პირველად ათავადიერებდა გოლოვანოვის ქუჩას, რომ ეწოდებოდა ზოსიმემ ეკატერინე დადიანის ვაჟები ნიკო და ანრი შენიშნა. ომში აქტიური მონაწილეობისათვის მკერდამშვენებულები. მათ ახლდნენ ნიკოს მეუღლე მარი, აშილ მიურატი და სალომე ორი ვაჟით.

უფალმა ძმები უნებელი ჰყო ვერაგი ტყვისსაგან. ახლა საერთო სახეიძო განწყობილება სუფავდა, აჭარის შემოერთებასთან ერთად და ამ სიხარულის ეიფორიით ცხოვრობდა თბილისი.

ბესარიონი მალე გაერკვა, რომ დედაქალაქი ნახევრად ევროპული, მეტწილად მოსალაგური ქალაქია. ევროპული ქვეყნები, ფრანგული და რუსული კერძები. ინგლისური და იტალიური აღმზრდელები. აუდიენციები, გართობები, საუბრები უცხო ენებზე, მეტწილად რუსულად.

ქუჩაში მოძრავი ჯიშის ცხენშემბული, ფანრიანი ეტლები, სამხედრო ფორმანთა მდიდური სიარული...

ვინ ზრუნავდა საქართველოს ბედსა და მართლმადიდებლურ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე? ძირითადად სამოციანელები, მოწინავე ქართველ სამღვდელეობასთან ერთად.

სემინარიაში სწავლა დიდიდან ორ საათამდე გრძელდებოდა. შემდეგ მოსწავლეები ხუთ საათამდე ისვენებდნენ, საღამოს მეცადინეობა კვლავ გრძელდებოდა.

ახალი გარემო. უცხო რუსი მასწავლებლების სიმკაცრე ქმნიდა გარკვეულ სიმკლეს. მალე გამიჩნდა, რომ რაიონებიდან ჩამოსულ მოსწავლეები სუსტნი იყვნენ რუსულ მეტყველებაზე და ლათინურში.

ბესარიონმა მიხსნა დაისახა ამ ნაკლის გამოსწორება და შესვენების ჟამს წიგნით ხელში ბაღში გარბოდა, რომ ხარვეზი შეეცხო.

თუმცა მაინც რთული შეეცქნა რუსული სიტყვიერების თეორიის შესწავლა. ვინც ტექსტს ვერ შეისწავლიდა, ის იძულებული იყო დაეხუთხა.

გულდრძო აღმოჩნდა საღვთო წერილების მასწავლებელი ნიკოლა ჩეტრიკინი.

„იგი იყო ახმახი, მსხვილი, ბანჯგელიანი, კბილებწამოვადებული, ლოფორცო-ენ-აბლაგვი. თმები ყალყზე ედგა ყოველთვის... ზამთარ-ზაფხულ მეტისმეტი სიმსუქნისაგან სახე ოფლით ჰქონდა გაწურული. ეს ადამიანი საღვთო წერილის უმაგალითო დამცველი იყო. იშვიათად, წელიწადში ერთხელ რომელიმე კლასში დაეწერა ნიშანი ხუთი“ – ივონებენ სემინარიელები.

სემინარიაში სულ სამი ქართველი მასწავლებელი საქმიანობდა. ახალგაზრდების გონების, სულისა და გულის „დაჟერობა“ რუსული იდეოლოგიითა და მეფის იმპერიისადმი თავანისცემით სურდათ. ამიტომ იყო, რომ ქართველად სემინარიაში საუბარი აკრძალული იყო. ქართულის მასწავლებელი კითხულობდა „ჟამს“, „ტიბიკონს“, „ფსალმუნებს“ ხუცურ ენაზე და კომენტარებს აკეთებდა რუსულად, რაც საგანს მოსწავლეთათვის სრულიად უაზროს, მიუღებელსა და უინტერესოს ხდიდა.

მიუღებელი და გაუგებარი იყო ხუცურის შესწავლა რუსი, სომეხი, აისორი და სხვა ერების წარმომადგენლებისათვისაც. მაგრამ გაკვეთილების ჩატარების გვერდს ეგზარქოსი ამტკიცებდა.

ყველამ იცოდა, რომ ქართულის მასწავლებელი თედო ჟორდანიას ცნობილი ისტორიკოსი იყო. ხშირად იბეჭდებოდა მისი წერილები ჟურნალ-გაზეთებში, რაც პოლიტიკის საგანი ხდებოდა.

ბესარიონი თავიდანვე კეთილად განეწყო თედო მასწავლებლის მიმართ. მარტვილში ჟორდანიების გვარისანი საკმაოდ ცხოვრობდნენ. ესეც უწყობდა ხელს ამ პედაგოგის მიმართ კეთილგანწყობას.

მეცადინეობა დილის ლოცვით იწყებოდა. საღამოს ასევე აუცილებელი იყო ლოცვების შესრულება. ზოგი მოსწავლე, განსაკუთრებით ისინი, ვინც სასწავლებლის გარეთ ცხოვრობდნენ და უზრუნველი იყვნენ ბებერი რამით, ათეისტობისკენ იხრებოდნენ.

დისციპლინის დარღვევა სემინარიაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის საშუალებას სემინარიაში გამეფებული სწავლის მეთოდით იძლეოდა.

წირვა-ლოცვაზე დაუსწრებლობა დისციპლინის დარღვევად ითვლებოდა. ბესარიონი ცდილობდა არ გაეცდინა. სემინარიის საყდარი ქალაქის ცენტრში იდგა. იქ ქალაქის მოსახლეობაც დადიოდა, ამიტომ წირვა-გალობები ქართულ და რუსულ ენებზე სრულდებოდა.

მოსწავლეებში პოპულარობით სარგებლობდა ქართული გახეთქების კითხვა, საღამოობით თეატრში ქურდულად გაპარვა და წარმოდგენებზე დასწრება, ნებადაურთველი ლიტერატურის წაკითხვა.

აღექსანდროვის ბალთან მდებარეობდა ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზია. ზაქარია იზიარებდა მოწინავე იდეებს, ნაკითხი კაცი იყო და თბილისის სტუდენტებს არაღვეალური წიგნებით ამარაგებდა.

ბესარიონი მალე დაუმეგობრდა ზაქარიას და წიგნების მიღებაც მოახერხა მისგან. ამბობდნენ ჟანდარმერიამ იცოდა ჭიჭინაძის საქმიანობის შესახებ, მაგრამ ზაქარია მაინც ახერხებდა თავისი ღვთიური ვალის შესრულებას.

ხშირად მოუსმენიათ მისგან, რომ „ჩვენ ყველას უსაზღვროდ გვიყვარს სამშობლო და ვიცით, რომ სამშობლოს გარეშე ქართველი ადამიანი მწეოდ ხარობს, უფრო სწორად ვერ ხარობს. სამშობლო ჩვენშია... ჩვენს გუნებშია. მინდა გითხრათ, სამშობლო არ არის მარტო მიწა-წყალი. იგი ჩვენს გონებაში, ჩვენს ხელოვნებაში, ჩვენს ენაში, ჩვენს აზროვნებაშია...“

ოთხმოციანი წლების თბილისში მძლავრად იყო ფრთავაშლილი ეროვნული მოღვაწეობა. საქვეყნო, საჭიროებოლო საქმეს „შვილები“ მეთაურობდნენ. ძველი თაობის წარმომადგენლები გრიგოლ ორბელიანი, პლატონ იოსელიანი, ეკატერინე ჭავჭავაძე, ხანდაზმულები იყვნენ.

უკვე ძველი დიდება დაეკარგა იმ ჟამს, როცა მაიკო და მანანა ორბელიანები, ნინო ჭავჭავაძე და მისი თაობა ქმნიდა. ის თაობა მორჩილი იყო, გატაცებული თანამდებობებით, წინ-მედლებით, ფუფუნებით. თუმცა სამშობლოს სიყვარულს ვერავინ დაჟევდრიდა.

მოვიდა ახალი თაობა, უფრო თამამი, მედგარი, საქართველოს ეროვნული ღირსებებისადმი თავდადებული. მათ ხელში აღმოჩნდა ჟურნალ-გაზეთები, თეატრი, ბანკები. რამაც საოცარი იმედი, რწმენა და პათოსი გააღვივა მოსახლეობაში. მათ შორის ახალგაზრდობაში.

ახლა თბილისის ჰაერი, მიწა, შენობის კედლები, ყველაფერი გულანთებული იყო ეროვნული სულისკვეთებით. ასეთ ჟამს მოუწია ბესარიონის თბილისში სწავლა და ცხოვრება.

ისე გამძაფრდა ეროვნული მოძრაობა

ილოხი ამბროსი

მაშინ, რომ შეუძლებელია ბესარიონს არ გადასდებოდა ეს ცეცხლოვანი მუზა და მის სულში არ გაღვივებულიყო სამშობლოს ერთგულების უქრობი ხანძარი.

„ღვთის მსახური იყო, არ ნიშნავს სამშობლოს ბედუკუდმართობას წინააღმდეგ არ გაისარჯო. სამშობლოსა და ხალხის დაცვა თვითუცხლის ღვთიური მოვალეობაა. ეკლესია სახელმწიფოსთან, ხალხთან ერთად არის მძლე და თანდათან ქართველი ერი შემოპრუნდა ღვთისკენ და ეს ახალი თაობის სწრაფვას დაეტყო. როგორც მოსეს გამოყავდა ებრაელი ერი ეგვიპტის მონობიდან, „გაიმბგრეთ ღონემიხდილი მუხლები“ – მიმართავდა ღმერთი ებრაელებს, ასე მიმართავდა „ახალი თაობა“ ქართველებს“.

სწავლის პირველი წელი ბესარიონმა ჯგუფში მეორე მოსწავლედ დაამთავრა. ყველაზე უფრო მათემატიკა უჭირდა, თუმცა ცდილობდა რიცხვთა ტრიადი და ამოცანების ამოხსნაში ყოჩაღად გარკვეულიყო.

თბილისურ ყოფას და სასწავლებლის მკაცრ რეჟიმს შეგუვლს მეორე წელს სწავლა არ გაძნელებია.

ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ სემინარიის მოსწავლეებმა მხარი დაუჭირეს საერთო საპროტესტო გამოსვლებს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

გამოსვლები წინასწარ დაგეგმილი იყო. მოთხოვნა „ქართული ენის, ისტორიისა და საქართველოს წარსულის უფრო მასშტაბური შესწავლა“ გახდა.

მოსწავლეები მთელი დღე გაკვეთილებს არ დასწრებიან. დილის ლოცვა შესარულეს, ისაუზმეს და ეზოში შეიკრიბნენ.

ეს ამბავი მაშინვე ეგზარქოსს მოახსენეს და მან, სინოდის თანხმობით მდგომარეობა რომ არ გათულებულიყო დაუშვა რეკლიგისა და საქართველოს ისტორიის ქართულად სწავლება. ყველა ნაციონალური წარმომადგენლის მოსწავლე-თათვის.

ნაწილობრივ ჩაიშალა თვითმპყრობეობის მსახურთა სურვილი გაეზარდათ ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი, ღირსებადამღუნებული, სამშობლოს უსიყვარულო ახალგაზრდობა.

შეგნებულად უმაღლედნენ მათ, რა წარსულის მქონეა საქართველო, რომ ყავდათ ფილოსოფოსები, მწერლები, მკვებრმეცნიერები, ღვთისმეტყველები...

მაგრამ ყველა მოსწავლემ იცოდა „რანა წახდეს, ერი დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“. იმეორებდნენ, ილიას, აკაკის, სხვა მოღვაწეთა პატრიოტული პათოსით შექმნილ ნაწარმოებებს.

დენტის კასრის სრული ორლოდრება შეუძლებელი იყო, რომელიც ერის სულიერ საცავში იდო.

ალის ავარდნის სუნი უკვე იგრძნობოდა პაერში.

ამიტომ წრფელი გულით აღტაცებული სემინარიის მოსწავლეები ჟურნალ-გაზეთებში წერილებს აქვეყნებდნენ.

აი, ერთი წერილთაგანი: „ქართველი სულიერად იმდენად ამაღლებული უნდა იყვნენ, რომ მან არამარტო თავად უნდა მოიპოვონ მადლი სულისა წმიდისა, სულიერად გამოლიანდნენ, გაბრწყინდეს და გახდეს მაგალითი. ეს ადვილი არ არის.“

... ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა ცხოვრობდეს და იღვწოდეს ღვთისა და ერისადმი თავგანწირვით, მართლაც, თუ ჩვენს ისტორიას თავის გადავალვებოთ, დავინახავთ, რომ მთელი ჩვენი წარსული – ეს იყო ქრისტიანობის ჯვარცმა. ამ ჯვარცმაში ჩვენი ფიზიკური და სულიერი უძლეურობა, უამრავი სისხლისღვრა განვიცადეთ, რაც ტრაგედიადაც კი არ უნდა ჩავთვალოთ, არამედ ჩვენს დიდებად, რამეთუ უფალი ჯვარს უნდა გაკრულიყო, ასე მართა მამა ღმერთი „აწ იდიდა ძე შენი და იდიდებ შენ მამაო დიდებითა მით, რომელი მომეც მე“. რა იყო ეს დიდება: ეს იყო ჯვარცმა.

ეს იყო მსხვერპლი და საქართველო ამ დიდი ჯვარცმის მზად აღმოჩნდა. „ახლა დგას ჟამი ამაღლების, ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ სხვა ერებს, რომლებიც გაექცნენ ქრისტეს ჯვარცმას და ეძებენ მიწიერი სიამეზი და დიდებანი და ვერ გახდნენ მაღლობისილი, მრავალნი არიან ჩინე-ულნი და მცირედნი რჩეულნი“. ჩვენ იმ რჩეულებში ვართ და უფალი არ მიგვატოვებს, ის ჩვენთან იქნება მარადის“.

ამგვარი პათოსით გაჟღერებული უამრავებს წერილს იღებდა რედაქციები. ზოგი მათგანს აქვეყნებდნენ.


მთავარი ის იყო საზოგადოების ყველა ფენა უჭერდა მხარს ეროვნულ იდეებს.

ბოროს დავითაია (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დამსხვრეული სა – წერილი ქუთაისში, ბატონ სერგო წერწემიას

ამ საბაზეთო წერილს
რეცენზიის პრეტენზია არ
აქვს.

იბი არც ღია წერილია.
უბრალოდ, ვიძრებიან,
ქუთაისიდან გამომავალი
წიგნების წაბითხვის შემდეგ
აშლილი...



ქუთაისი-ოშოშია
ეს სიმბოლური მისამართი მობილურ
ტელეფონზე მაქვს ჩანიშნული. “ოშოშია”
– მოთხრობის სათაურია, ზამთრის გრძელ
დამეგში სველით გამოტარებული მოთხრო-
ბის: მშობლიური საბუდრიდან აყრა და
უცხო გზებზე ხეტიალის დასაწყისი –
ფაბულაა მხატვრული ნაწარმოებისა,
რომელიც ქუთაისშია დაწერილი.

ავტორია **მწერალი და ჟურნალისტი**
ბატონი სერგო წერწემია. ჩემი სოხუმელი
კოლეგა ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქ-
ვათ, ჩემი კალმისმთავარი ძმა. ჩვენებური,
მხნე კოლხი, მისგან საჩუქრად გამოგზა-
ვნილი ხუთი წიგნის შემდეგ რომ შევი-
გრძენი:

ჩემო, ჩემო, “**ბატონ ჩემო!**”

დვთაბრივი თუ თეთრი?!

საეკლესიო ენაზე – დვთაბრივის
წოდებები, საეროში – ხან თეთრ, ხან
კიდევ კეთილ შურად, აზრობრივად უფრო
მისაღები, მე კი, უბრალოდ, შემშურდა მისი.
ხომ უძიროა უსამშობლოების განცდით
აღძრული ტკივილი, მაინც იგრძნობა, რომ
სიერცე, სადაც დევნილი კალმოსანი დე-
კორაციის ტკივილიან ათწლეულებს მი-
ითვლის, მშობლიურია, მახლობელია:
“ცა იმერეთში ტკივილამდე არის კოლხ-
ური” – წერს პოეტი ლექსების კრებულში:
“**მზის ოთხი წახანაგი.**”

“დამსხვრეული ცის ბინადარი”

ახალგაზრდა აფხაზმა მწერალმა **დაურ**
ნაჭყებამ მოთხრობაში – “**ცალთვალა**
ცა”, უქართველებო აფხაზეთის ცაზე
მიგვანიშნა. ცალთვალა ცა – მეტაფორაა,
რომელიც თანაბრად გვხვრავს ქართველებს
საც და აფხაზებსაც და მასში თითოეული
ქართველისა და აფხაზის, ცოცხლისა და
მკვდრის ბედია გადახლართული.
ცალთვალა, ანუ დამსხვრეული ცის
მონატრებით გადღაჯახავს ენგურის პირო-
ბით სახლგარს სოხუმელი დროთე მესხია
(მოთხრობა – “**დამსხვრეული ცის ბი-
ნადარი**” – მთავარი გმირი). დროთე შე-
ძლებს სანუკვარი ოცნების ასრულებას:
“**ბოლო ხანს დროსაც დაეუფლა გაუ-
რკვეველი შიში. თავდაპირველად მცირე,**
შემდეგ და შემდეგ ნელ-ნელა გაიზარდა
და საბოლოოდ განგაშის ზარებად
დარისხებული ახმანდა იქ, შიგნით ხალხი
დაფენილი სულის წიაღში: ნუთუ მასაც
არ ეღირსება საკუთარ ეზოში ფეხის
დადგმა, ვეღარასოდეს იხილავს ნალოლი-
ავებ ეზოს, თავდაუზოგავი გარჯით აგებულ
სახლს, ხელს ვერ შეახებს ჩუქურთმიან
ჭიშკარს, ვერ შეაღებს პალატის კარებს
და ვერ გადმოიხედავს საყვარელი
აივნიდან? რაღა აზრი აქვს ამგვარ სიც-
ოცხლეს, თუკი ვერ აისრულებ უმწვანეს
ნატვრას, რომელიც ხანჯალივით გიჩხავს
გულ-გვამს და საშინელ ქარ-ბორბალს
გიტრიალებს შიგ. ჯობდა ვაჟაცურად

შეგდომოდა მტერს და მშობლიურ მიწაში
ეპოვა სამუდამო განსასვენებელი, ვიდრე
ასე, ბანაკს მოწყვეტილი ბოშა კაცივით
სახეცხილოდ და სამადლოდ გახდომოდა
საქმე”.

დროთე მესხია ყველაზე მეტად აფხ-
აზეთში დაბადებული კაცის აფხაზეთს
გარეთ გატრიალ საფლავს ვერ ეგუება:
“**რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გადავიდე**
აფხაზეთში! რაც უნდა მომივიდეს (შეგუე-
ხულია აღსასრულთანაც – სკა) მაინც წავალ,
ხელეფე გავუდგები გზას” და წავიდა!

რის ვაი-ვაგლახით ჩააღწია სოხუმამდე.
“**ხელა ოთახებში ჯერაც დარჩენილიყო**
ძველი ცხოვრების ნაკვალავი. იატაკზე
უთაბოლოდ იყო მიმოფანტული ჭურჭლის
ნამსხვრევები. წიგნის წყლისა და სიცხისაგან
გამოხუნებულ-გამოყვითლებული წიგნებისა
და ჟურნალ-გაზეთების ნაგლეჯები. დრო
ცრემლმორეული დასცქეროდა მისი მრავალ-
წლიანი ჯაფის წყალობით შეძენილი
ქონების ნამუსრვეს. ბოლოს მისმა ხელმა
ამ ნამსხვრევების ქაოსიდან ერთადერთი
სალი საგანი გამოაცალკევა და მადლა
ასწია. ეს ტოლჩა იყო! დრო ტოლჩითურთ
წყლის ონკანთან მივიდა, მოუშვა და ჟანგიანი
წყლის ჭავლი თხლიშინით ჩაეშვა ბაკანში.
კარგა ხანს იცადა, სანამ სითხე დაიწმინ-
დებოდა, შეავსო სასმისი და თავისი სახლის
მაცოცხლებელი წყალი პირველად იგემა
აძენი წლის შემდეგ. რამდენიმე გზობა
დალია და გულიც მოიჯერა. სხვა გემო
ჰქონდა აქაურ წყალსაც. ვერავითარი ჟანგი
და მინარევი ვერ წარწყვნიდა მას. იმ წუთას
ასე ეგონა დროს, სხვა ვერცერთი წყალი
ვერ კლავსო წყურვილს ამ წყლის დარად.
მართალიც იყო. მისი სულის წყურვილს
სხვა ვერანაირი წყარო ვერ დაარწმუნებდა
აღბათ...”

ომის შემდეგ, დროს, აბუვიდან გად-
მოსახლებულმა ახალმა მეზობლებმა პატიმ
და ახილამ უმასპინძლეს. მათმა კეთილ-
განწყობამ დრო გულწრფელი მად-
ლიერებით ადავსო და იქ ყოფნის დღეები
გაუხანგრძლივა. თავდაპირველად უცხო
სახეებს ერიდებოდა, მაგრამ რომ მისვლა
არავის აინტერესებდა, დამშვიდდა და
ქალაქშიც გავიდა, ნაცნობი აფხაზები
მოინახულა.

მათაც გაიხარეს დროს ნახვით, აფხ-
აზეთი წესით უმასპინძლეს.
სწრაფად განელო რამდენიმე დღე.
კიდევ ერთი დღე და დრო უნდა დაბრუნე-
ბოდა დევნილურ საცხოვრისს, მწარე და
გაუხარელ ყოფას:
“**ნეტაღ მალე მოგვარდებოდეს**
დაბრუნების საკითხი და სამუდამოდ შეე-
ძლოს აქ დარჩენა შეილთან და
შვილის შეილთან ერთად. არაფერს
იჯავრებს, დღე და ღამეს გაასწორებს და
დაქცეულს ადადგენს, ოჯახს ფეხზე
წამოაყენებს... ფაციას სასაფლაოზე მიუჩენს
ალაგს, ეზოშივე რომ არის დამარხული,
მანდარინების ძირში, ძლიერ რომ მიაგრო
მის განსასვენებელს, პატივის მიგებაც
საგარეოდ შეძლო. როდის-როდის ძილმა
წაართვა თავი. მშობეარე ძილი ჰქონდა...
ამ დროს რაღაცამ დაიქუხა და თვალის-
მომჭრელად იელვა. დვრად ოფლდასხ-
მულმა, შიშის მარწხლებში გულმოჭეჭილმა
დრომ თვალეზი ფართოდ დააჭიჭა ღამის
სიბნელეში და შეცრად იგრძნო, როგორ
ჩამოედგარა თავზე მდუღარე ლავა –
“დასრულდა” – ამ ერთადერთმა სიტყვამ
გაუელვა გონებაში და ყველაფერი სამუ-
დამოდ წყვიდადში შთაინთქა...”

პირველად პატიმ იპოვა დროს გაცივე-
ბული სხეული, ტანჯვის ნაკვალავი მკე-
თრად ეტეოზოდა თურმე სახეზე: “**მხოლოდ**
ღიად დარჩენილი თვალეზი ამოესებოდა
უფსკერო ცის შეუბღალავი სიღურჯით,
თითქოს ორი კამკამა ტოპავარჩხილი
შუქის ფიორებად აფრთხილებულიყო
მტრედისფერ ზეცამდე და მსუბუქი ფრ-
თებით აეტაცებინა თავისი პატრონის
ფრია-ფრია მოფარფატე სული”.

306 არის დროთე მესხია?
დროთე – ეს მე ვარ, შენ ხარ –
ჩემო თანაგმთხელე: სოხუმელი,
ბაბრელი, გულრიფშელი თუ
ოჩამჩირელი!.. დროთე აფხ-
აზეთიდან მომწყალოდ გამოდ-
ვნილი სამასი ათასი ქართველის
ბანჯობადებული სახეა, ვუძი-
დაპარებული და სხვა ეთნიკურ
კუთხეში ვერდამკვიდრებული,
სვებამწარებული, ცა დამსხვრე-

ული... უცხო მხარეში ბატონი
საფლავი თრბუნავს დროს მვ-
ლაზე მიტარ, რაღბან, იქ, აფხ-
აზეთში პირდაპ რჩება მისთვის
ბანაშთმნილი სამარხი.

დროთე მესხიას ახსოვს დევნილობის
ადრეული წლები, როდესაც დევნილები
მიცვალებულს ჯაჭვებახვეული კუბოებით
ასაფლავედნენ და სახელურსაც და
სადგამსაც ხელუხლებლად უტოვებდნენ,
დაბრუნების ჟამს, ადვილად რომ მოეკითხათ
მიწისთვის ანაბარი.

დრო სწორედ ამ ტრაგიკულ, ბოლო
წერტილს – სამარისპირა დასაბრუნებელ
ჯაჭვებს გაექცა და თავისი პირდაპ სამარე
ამოავსო. დროთე მესხიამ სიკვდილით
მოიპოვა მამა-პაპისეულ ძვალშესაღამში
დაფანების ანუ აფხაზეთში სამუდამოდ
დაბრუნების უფლება.

ისევ “ოშოშია”
“**მსახვრადი ხელის მიერ მარადი ურიას**
დარად და უცნობ სავალს გატორღილე-
ბული ცოლ-შვილთან ერთად, ზურგზე
ხურჯინივით მოკიდებული წარსულით მი-
აბიჯებდა ბუნდოვანი და სახიფათო მო-
მავლისაკენ” – ეს ოშოშიას მიძე, გაუც-
ნობიერებული ნაბიჯებია ჯერაც შეუცნო-
ბელი მომავლისაკენ. მას ენგურგაღმა არა
თუ ნათესავ-მეგობარი, უბრალო ნაცნობიც
კი არ ჰყავდა. ავტორს მოსვენებას უკარ-
გავს მხატვრული გმირის ახალი ადგ-
ილსამყოფელი. ნეტა თუ დამკვიდრდა
სადმე? გაიჩნდა, უსათუოდ გაიჩნდა ახალ
მეზობლებს, ახალ მეტრ-მოყვარეს, სოფელს
მიაშურებდა უცილობლად, რადგან ას-
ფალტზე რა მოასვენებდა მისი წარსულის
პატრონს? ინჭირიას და ჭაჭას ახალ ადგ-
ილზეც მოიძვდა, არცის სახლელ ქვაბსაც
იშოვიდა და იქაც მიიპატიებდა სტუმარს:
“**მურე, ანწი, გემშუმედესიკო ოშოში, ქო,**
ქო, გეფშეათ, მუქ გადოლ ანწი?!”

ახლა იმაზეც, მწერლის ყველა
მოთხრობას რომ აერთიანებს: ეს ავტორისა
და მისი მხატვრული გმირების ტკივილიანი
ნასკვია, ყველა მათგანი მისი ბედის
მოზიარება, მისი სისხლ-სისხლთაგანი, ხორ-
ცი-ხორცთაგანი, მას ზედმიწევნით ესმის
მათი და ასეთივე დამაჯერებლობით მოაქვს
სველიანი ამბები მკითხველამდე. ამიტომაც
შეგძრავს და აგაცრემლებს, ჩაგაფიქრებს
და ღრმად წვდომისაკენ გიბიძგებს,
არაერთხელ მიგაბრუნებს წიგნისაკენ.

სერგო წერწემიას მოთხრობების
კითხვისას, ერთ რამესაც შეამჩნევს
დაკვირვებული თვალე. ეს არის მწერლის
ინტიმი მკითხველთან მიმართებაში. იგი
პირველი ფრაზებიდანვე ახერხებს მკ-
ითხველთან გაშიანურებას (მისი
პიროვნული თვისება წარმატებით აპრო-
ბირებულია მხატვრულ ნაწარმოებებში).

**“რა ძნელია წერდე და
ცხოვრობდე... აფხაზეთის
შემდეგ!”**
დღემდე მავანს აღიზიანებს (და უკვირს
კიდევ) აფხაზეთის მკვიდრთა შეუბუე-
ბლობა ახალ გარემოსთან.
ერთ-ერთ საგაზეთო წერილზე
“**აუკრძალავი ფერებით – აკრძალული**
ქალაქისაკენ” მუშაობისას, სოხუმელმა მს-
ატვარმა ელდარ ქაჭმაიამ მითხრა: “**იქ-**
სხვა მზე, სხვა სინათლეა, სხვა ჩრდილი. სხ-
ვანაირია ხალხიც – ზღვისპირული
ფსიქოლოგიით, ქართულ-აფხაზური ადათ-წე-
სით. იქ სტუმარს სხვაგვარად ხედიან. ყვე-
ლაზე ჭარბად ზღვის ენერგია ზღვისპირეთის
სიერცეშია. ამ ენერგიას ადამიანი სუნთქვის
საშუალებით იღებს. იქაურები ამ ენერგიის

მატარებლები არიან. ამიტომ უჭირთ სხვა
ადგილსამყოფელთან შეგუება. ვერ წედიან
ფესვებს, ჩაკეტილი სიერცის ქვეცნობიერი
ფორიაქი აწუხებთ, უმბაფრებთ ნოსტალგია,
ლონდებიან, წუხან”.

მხატვრის მიერ ზემოთთქმული პოეტურ
ენაზე ასე ჟღერს: “**რა ძნელია წერდე და**
ცხოვრობდე... აფხაზეთის შემდეგ!” (კრე-
ბულიდან – “**მზის ოთხი წახანაგი**”).

მოთხრობები, წერილები, მსახე...
პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა და თან-
აბარი სიძლიერით ასახული მხატვრული
სიმართლე – ასეთია ჩემთვის, როგორც
მკითხველისათვის, სერგო წერწემიას შე-
მოქმედება. ერთ-ერთი წიგნის წინასიტყ-
ვაობაში იგი წერს: “**ნათქვამია, წერდე,**
ნიშნავს შენი სული გაანდო ადამიანებს.
მე ვანდობ სულს, ვისაც ამ უცნაური პალ-
იმფსესტის მართებულად წაკითხვა
ხელეწიფებით და მოხარული ვიქნები თუ
მცირედნი მაინც შეიცნობენ მას. და უფრო
მოხარული, თუკი მრავალნი ვერას
გაუგებენ, რადგან მრავალთაგან უწყყმანოდ
ადიარებული შეხედულება არასოდეს ყოფი-
ლა მდგრადი და ღირებული. ეწერდა კი
იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შემიძლია.
ბედნიერია, ვისაც სხვაგვარად შეუძლია
(“გარეგანი ფრინველი”).

აქ დავსვათ წერტილი. მწერლის ახალი
წიგნი, რომელმაც ეს-ესაა იხილა სამხეო,
გზაშია.

ახალი კრებული კოლხური მზის სით-
ბოს, იქაურ სურნელს, სიწრფელს ჩამოიფ-
ოლიებს იმერეთის გულიდან, ქუთაისიდან.
ახალი კრებული ახალ ფიქრებსაც
აშლის.
დაგველოდეთ!

სვეტლანა კვიპინია,
ჟურნალისტი

სერგო წერწემია
* * *

ხობს ხეობა ხობის ფერი
და ტაძარი...
მზესთან ავა ორბის ფრთებით
სადაც არის..
ხობისწყალი ოქროვით მოაბოტებს,
დარდიანი,
ამ ჩქერებში განბანილა აბეში
ცოტნე დადიანი...
ძველ ლეგენდებს ხსოვნა ისევ
გაბაფა...
და ლანდებმა ისაკლისეს
გუბაზ მაფა
ვგრებს სიტყვებს აქ იმხრობდა
ყვავილებით –
შურისგებას აქ ფიქრობდა
აიეტი...
და ფარტაზიც აქ ქარავადა
სიტყვის ნოხებს –
ძაბუნსაც რომ ასე ვარგად
აამოხეხეს...
საუკუნეთ აქ მარულა გაუმართავთ...
მეტი ბინდში ჩაქარგულა
ნაომართა...
სანთელივით დაღვენილა
აქ ეთერი...
და ოქროქვებს ბამბის ფთილად
ადევს მტვერი...
ხობს ხეობა ხობისფერი
და ტაძარი...
მზესთან ავა ორბის ფრთებით
სადაც არი..
ტირის რასაც, კარგად იცის –
ხობისწყალი –
კოლხთა მზის და დამწვარ მიწის
მოფიცარია..



მსოფლიოს ასი უდიდესი მანქანა... იგორი...

მსოფლიოს ასი უდიდესი მეცნიერიდან ერთ-ერთი მათგანი კოლხი-უშაფათელია – ჯემალ ხუბუა, მამაჩემის ბაბუის ძმის შთამომავალი.

შვეიცარიის თოვლიან ალპებში, დრმა მიწისქვეშეთში გაყვანილ ვეგეტრულა გვირაბში დიდი ზესაიდუმლო ლაბორატორიაა განთავსებული. იგი გარემოსგან ზეიზოლირებულია, რათა იქ გამოკვლეულ იქნას სამყაროს საწყისი ეტაპი, დიდ აფეთქების პროცესებთან დაკავშირებული პრობლემები და აიხსნას უმაღლესი ფიზიკის ზესაიდუმლო სფეროებში დავანებული კითხვის ნიშნებიანი კონცეფციები.

ამ ექსპერიმენტის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შვეიცარიის ლაბორატორიის შექმნაზე მრავალი მილიარდი დოლარი დაიხარჯა, რამაც იგი მთელი სამყაროს სუპერპროექტად – №1 პროექტად აქცია. საქართველოდან ლაბორატორიაში ერთადერთი მეცნიერი – ბატონი ჯემალ ხუბუა მიწვეული, თუმცა მასთან ერთად შვეიცარიაში კიდევ ერთი თანსკერი ქართველი იღვწის – პროფესორი თამაზ დვალის, მაგრამ იგი პროექტში ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მონაწილეობს.

ჯემალ ხუბუა იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ამჟამად კი არის რუსეთის და სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული აკადემიკოსი.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო მთავარი ატომური კვლევითი ცენტრის ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო ხელმძღვანელი, თავად ეს ზესაიდუმლო ცენტრი კი განთავსებული იყო მისკოვის ახლოს მდებარე ქალაქ დუბნაში (სხვათა შორის, მისი ერთ-ერთი

ურთულესი ლაბორატორია დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს აფხაზეთში, ეშერის ხეობაში – **“ილორი”**). მოგვიანებით ჯემალ ხუბუა დანიშნეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ატომური ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-დირექტორად, რაც თავისთავად მიანიშნებს ამ პიროვნების დიდ ავტორიტეტზე საბჭოთა ფიზიკის სფეროში, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მსოფლიო დონის მეცნიერ-ფიზიკოსთა სიუხვით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ, ბუნებრივია, უმუშევრად დარჩენა დაემქურა, რადგან ჯერ შეგარდნადის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდნენ და დღესაც აკეთებენ ქართული უნიკალური მეცნიერების გასანადგურებლად (გაუგებარი ამაში არაფერია. რაში უნდა დასჭირდეს დიდი მეცნიერი იმ ხელისუფლებას, რომელიც საქართველოს ტურისტული მექის სამხარეულოდ ჩამოყალიბებას უპირებს. მას მეცნიერებზე მეტად ექსკურსიამდოლები, მზარეულები და მიმტანები სჭირდება! – **“ილორი”**).

ვინაიდან ჯემალ ხუბუა მუდამ ზესაიდუმლო ობიექტებზე მოღვაწეობდა, მისი პიროვნებაც გასაიდუმლოებული იყო. ამიტომ არავინ არაფერი იცის ამ მართლაც უდიდესი მეცნიერის თაობაზე, ხოლო პრესაში გამკრთალმა მცირე ინფორმაციებმა საზოგადოებას წარმოდგენა ვერ შეუქმნა ჯემალ ხუბუაზე, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ფიზიკოსზე. სწორედ მისი პიროვნების **“გასაიდუმლოება”** გახდა ჯემალ ხუბუას არაერთგზისი **“დამაგვრის”** მიზეზი. მას ნობელის პრემია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობისას უნდა მიეღო უნიკალური მეცნიერული ნაშრომებისათვის, მაგრამ კომუნისტურ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა ამ პიროვნების

პოპულარიზაცია, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ამიტომ, ნობელის პრემია მიენიჭა ჯემალ ხუბუას ხელმძღვანელობით მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფს.

ასე რომ, შვეიცარიის ზესაიდუმლო ლაბორატორიაში დღეს წარმატებით მოღვაწეობს ქართველი – კოლხი მეცნიერი ჯემალ ხუბუა, რაც საამაყოა მთელი ქართველი ერისათვის, მაგრამ დიდად სამწუხაროა ჩვენი არაკეთილმოსურნეებისათვის!

სწორედ ჯემალ ხუბუას მოღვაწეობა და მისი დიდი ავტორიტეტი იძლევა იმის უშრეტ იმედს, რომ ქართული სამეცნიერო სკოლას გაქრობა არ უწერია!

შეფასებული ძალბატონი “ლა-სკალას სენაზე”

ეს მაია კალანდაძე, მას რომ ხმები ამოსდის ბაგებიდან, მართლაც ჯერაც არსმენილია, რადგან სულ სხვა სამყაროში, ზესამყაროში გადაჰყავხარ. მაიამ წარჩინებით დაამთავრა უშაფათის საშუალო სკოლა, ხოლო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმატებით დამთავრება **“წითელი დიპლომით”** აღინიშნა.

ასევე წარმატებული, განუმეორებელი იყო მისი გამოსვლები მილანის **“ლა-სკალას”** და მსოფლიოს სხვადასხვა სცენებზე, რასაც მუსიკალური სფეროს მსოფლიო კორიფეები უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ. მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს წამყვან საოპერო სოლისტებთან ერთად და მისი სოლო არიები ვარსკვლავთა ინტერნეტ-საიტებზეა განთავსებული.

მაია კალანდაძე დღეს აღიარებულია მსოფლიო დონის ვარსკვლავად, რომელსაც ამკობს სიკეთე, სიღამაზე და როცა იგი სცენაზე გამოჩნდება, ძალაუნებურად გავიქრებიან, რომ დამატებითი განათება

ჩართეს. ეს ქალბატონი მართლაც საოპერო სცენისთვისაა დაბადებული, იგი ხაზგასმით ტრადიციულია, სულიან-ხორციანად **“ჩვენებურია”**, საოცრად წესიერი, ზრდილი და პატიოსანი, რომელიც მომღერლობითა და ვარსკვლავობით პირადად კი არ გამდიდრდა, მსოფლიოს საოპერო სცენა გაამდიდრა!

მეუღლე იტალიელი ჰეიკს – ჯუზეპე მარკელი. მათი შეუღლება მოხდა ქართველი ქალიშვილის იტალიაში მოღვაწეობისას, როცა მისი ხელოვნებით მოხიბლულმა თავყვანისმცემელმა ულამაზეს მაიას ხელი და გული შესთავაზა და ისიც დასთანხმდა.

მრავალშვილიანი იყო კალანდაძეების ოჯახი. მაია – ლონგინოზ კალანდაძე წესიერი, მშრომელი კაცი გახლდათ. დედა – ძაბული ვეგენის ასული თვალსაჩინო პედაგოგი, ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია, რომელსაც ქებაში თავი შეკავებული ადამიანებიც კი **“ქართლის დედად”** მოიხსენიებენ. ბედნიერი ვარ, რომ ეს ოჯახი მე მენათესავეა. წელს ძაბული დედა 86 წლის გახდა, რაც კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო გაზეთ **“ილორის”** ფურცლებიდან. ამჟამად ქალბატონი ძაბულისთან ერთად ცხოვრობენ მისი ერთ-ერთი ვაჟი, გამორჩეული რაინდი – ბატონი თამაზი და მისი ქალიშვილი, ცნობილი თეატრალური მოღვაწე და ხელოვნებათმცოდნე, ქალბატონი ლუიზა.

მაია კალანდაძის ვარსკვლავური აურა მისი ინტერნეტსაიტებიდანაც (WWW.youtube.com/MaiaKalandadze) გამოსჭვივს, რომლის მეშვეობით ნებისმიერი შეიძლება დარწმუნდეს, თუ რა დონის ვარსკვლავია უშაფათში შობილი და აღზრდილი, ზეციური, ღვთიური ხმით დაჯილდოებული მომღერალი...

მერაბ ხუბუა, მწერალი, სენაკი, უშაფათი

სასაფლაოზე ჩატარებულმა შიშველობის აქციაში შედეგი გამოიღო

ჩხოროწყის რაიონის სოფელ კირცხის მკვიდრმა, მწერალმა შუკო ჯიქიამ, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში სოფლის სასაფლაოზე შიშველობის აქციას ატარებდა, შიშველობა შეწყვიტა.

როგორც საქინფორმი იტყობინებოდა 24 აგვისტოს (შიშველობის აქციის სასაფლაოზე), ჩხოროწყის რაიონის სოფელ კირცხის ნაშელუს უბნის სასაფლაოსთან უვადო შიშველობა გამოაცხადა ამ სოფლის მკვიდრმა, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე შუკო ჯიქიამ. აქციის დაწყების მიზეზი იტალიური ფირმა „ფერეროს“ მიერ სოფლის ტერიტორიების მიტაცება გახდა, სადაც თხილის პლანტაციების გაშენება გათვალისწინებული.

შუკო ჯიქიას მოთხოვნა იყო, იტალიურ ფირმა **„ფერეროს“**, რომელსაც 100 ჰა-ზე მეტი მიწა მიიტაცა სოფელში, ადგილობრივ მცხოვრებთათვის 35 ჰა-მდე მიწა დაეტოვებინა სავარგულებისა და საძოვრებისათვის.

„შეიძლება ითქვას, საპროტესტო აქცია შედეგი გამოიღო. ჩემთან იმყოფებოდნენ რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელები, „ფერეროს“ წარმომადგენლები და შემპირდნენ, რომ ჩემს და კირცხელების მოთხოვნას დააკმაყოფილებენ და მოსახლეობას არ დატოვებდნენ საძოვრების გარეშე“, – აღნიშნა შუკო ჯიქიამ.

აღსანიშნავია, რომ შუკო ჯიქიას ყოველმხრივი თანადგომა და დახმარება გაუწია სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“**.

ლადო ძირია, საქინფორმის კორ.

„მეოცეში ყველაზე ბრძოლი“ პიარ-ხიდი დაზიანდა

ანაკლიისა და განმუხურის მცხოვრებნი და დამსვენებლები ისევ ვერ უკავშირდებიან ერთმანეთს იმ ხილით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ ერთი კვირის წინათ დიდი ზარ-ზეიმით – კონცერტითა და საღუთით – გახსნა, უწოდა რა მას **„მეოცეში ყველაზე გრძელი საფეხმავლო ხიდი“**. პრეზიდენტის ჩანაფიქრით, ამ ხიდს ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა ანაკლია და განმუხური, მაგრამ მან მხოლოდ ერთ დღეს იარსება.

პიარისათვის განკუთვნილმა სახელდახელოდ გახსნილმა ხის ხიდმა, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო დატვირთვას და რამდენიმე ადგილას გაიხსრა. ამჟამად ხიდს პოლიციელები დარაჯობენ, რომ მასზე არავინ გაიაროს, რადგან გადასვლა ძალზე სახიფათოა.

გაგრძელებული ვერსიით, გათვალისწინებული ხიდის დემონტაჟი, როდის აიგება ნამდვილი ხიდი, ჯერჯერობით უცნობია.

რაც შეეხება ანაკლიისა და განმუხურის მცხოვრებთა და დამსვენებლებს, ისევ შემოვლითი გზით მოუწევთ ერთმანეთთან დაკავშირება.

P.S. ის კი გვახარებს, რომ



პიარ-ხიდი მისი გახსნის დღეს არ ჩაინერა – მასზე დადგმულ თეთრ რკინიგზაზე და არგენტინიდან საპრეზენტაციოდ ჩამოსულ ქართველ სიმპათიურ პიანისტ გოგონასთან ერთად.

ლადო ძირია, საქინფორმის კორ.

მიხეილ სააკაშვილი: „ყველა სირთულის მიუხედავად, საქართველოს აღმშენებლობა წარმოუდგენელი ტემპით მიმდინარეობს“

საქართველოს პრეზიდენტი ქუთაისის ესტუმრა და ქალაქში მიმდინარე მშენებლობები დაათვალიერა. მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის მშენებლობა მოინახულა, რომელიც 2012 წელს უნდა დასრულდეს. როგორც მან აღნიშნა, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს გადმოტანით ქუთაისი გამორჩეულდება და ის უიმედო მდგომარეობა, რომელიც ქალაქში ოთხი-ხუთი წლის წინათ სუფევდა, საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს.

სააკაშვილი მიიჩნევს, რომ მიმდინარე მშენებლობები ქუთაისელთა კეთილდღეობის საწინდარი და მათთვის სტიმულის მიმცემია. **„დღეს ვნახეთ, რომ პარლამენტის მშენებლობა დადგენილ ვადას რამდენიმე კვირით ასწრებს. ეს მართლაც ისტორიული პროცესია. ჩვენ აქ ვაშენებთ პარლამენტის შენობას, რომელიც მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე იქნება. თუმცა მთავარია ის, რომ ამით ქვეყანაში მთლიანად იცვლება ფსიქოლოგია. პარლამენტის ქუთაისში გადმოტანით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საქართველო, პრაქტიკულად, ახალ უზარმაზარ ენერგიას მიიღებს. აქ ჯერაც ძალიან ბევრი სოციალური პრობლემაა და, მართალია, პარლამენტი ყველა საკითხს ვერ მოაგვარებს, მაგრამ გარკვეული ნაწილის გადაწყვეტას ნამდვილად**

შეუწყობს ხელს. ყველა სირთულის მიუხედავად, საქართველოს აღმშენებლობა წარმოუდგენელი ტემპით მიმდინარეობს“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ერთი ამბავიც გაიხსენა, როდესაც პირველ ლევის ერთი პოლანდიელი ტურისტის გამოელაპარაკა. მართალია, სანდრა რულოვსკიან საუბრისას, სტუმარი აღფრთოვანებას ვერ მალავდა ქართველთა სტუმართმოყვარეობის, პატრულის თაყვანისთვისა და, ზოგადად, ქვეყნის ღირსშესანიშნაობების გამო, მაგრამ მის პრეზიდენტს უცნაურადამიანად მიიჩნევდა. მისი აზრით, ის, რაც ბათუმსა და ქუთაისში კეთდება, მხოლოდ პრეზიდენტის ფანტაზიის ნაყოფია და სრულიად შეუფერებელია საქართველოსთვის. სტუმარს თურმე ისიც აღუნიშნავს, რომ ველოსიპედის გზებზე არცერთი ველოსიპედისტი არ დაუწახავს... **„ზოგიერთ ტურისტს ჰგონია, რომ კარგი და ღამაზი რამ შეიძლება მხოლოდ პოლანდიაში, საფრანგეთსა და იტალიაში ნახოს, ჩვენ კი მხოლოდ სტუმართმოყვარეობითა და კეთილგანწყობით შეგვიძლია სხვების მოხიბვლა. მაღე ჩვენს ქვეყანაში ისეთივე ინფრასტრუქტურა იქნება, როგორიც სხვა განვითარებულ სახელმწიფოებშია. საიდან განჩნდება ველოსიპედისტი, თუ ჯერ ველოსიპედის გზა არ გააკეთებ?! პოლანდიაშიც დაგვეჭვივით, სხვა ქვეყნებსაც და გაუფასურებთ კიდევ მათ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას – დრო, ჩვენ კი მოთმინება დაგვჭირდება. დღეს ქუთაისში არა მარტო ველოსიპედის გზას ვესწოთ, არამედ ქალაქის ცენტრის ფუნდამენტურ რეკონსტრუქციასაც ვიწყებთ“**, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, დავით აღმაშენებლის გამზირზე სააკაშვილმა ველოსიპედის გზის რეკონსტრუქციის ახალი მონაკვეთი გახსნა. ამ გზის პირველი სამი კილომეტრი პრეზიდენტმა მეუღლესა და ვაჟიშვილებთან ერთად გაიარა. **„ჯერჯერობით არც ისეთი ხავერდოვანი ცხოვრება გვაქვს, რო-**

გორც ამ პაღმების ბუღვარს შეესაბამება, მაგრამ საიდანაც ხომ უნდა დავიწყოთ? ხომ არ შეიძლება სულ ჩამოიშლილი, ჩამოხვეული ქალაქი გუფუროთ? ქუჩები უნდა იყოს განათებული, სკოლები ისეთი მოწყობილობებით, როგორც, მაგალითად, პოლანდიაშია. ახალი თანამედროვე საწარმოები უნდა გაიხსნას და შედეგითანდათ გაგრძელო ყველაფერი დანარჩენიც მოგვარდება“, – დასძინა პრეზიდენტმა.

მოკლედ, მიხეილ სააკაშვილს იდეები არ ეკლვა, ჩვენი მოთმინება კი კრიტიკულ ზღვარზე დგას.

„რა უნდა ამერიკულ სიმინდს საქართველოში?!“

სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვერეხელის განცხადებით, კახეთში ამერიკული ჰობიბრდული ჯიშის სიმინდის მოსავლის აღება დაიწყო.

მოსავლის აღების პროცესი თანამედროვე კომპანიის დახმარებით მიმდინარეობს, რაც დანაკარგს მინიმუმამდე შეამცირებს.

ჯერჯერობით უცნობია, გადაიმეტებს თუ არა ამერიკული ჯიშის სიმინდის მოსავალი კახეთში ქართულს, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ზემო იმერეთში ამერიკულმა სიმინდმა ვერ გაიხარა.

ამერიკული სიმინდის მოსავალთან დაკავშირებით ზემო იმერეთის მკვიდრმა, ქალბატონმა ლენა აბესაძემ საქინფორმთან საუბრისას განაცხადა: **„ერთი ტაროც კი არ გაუკეთებია ამ ამერიკული ჯიშის სიმინდს. ძლიერ წამოიზარდა და მალევე გაუყვითელდა ფოთლები. ეგ იყო და ეგ. ერთი კილო ვიყიდე სათესლე, 14 ლარი გადამხდეინეს. მეორედ ნამდვილად აღარ ვიყიდე. თუ მოუვლი, ქართული სიმინდი მშვენიერ მოსავალს იძლევა. რა უნდა ამერიკულ სიმინდს საქართველოში?!“**

ზემო იმერეთი, საქინფორმის კორ. თეო ტაბატაძე.

თუ სკოლა, ისრაჟი ბოლოდა

როცა გერმანიის ქალაქები: ბერლინი, შტუტგარტი, დიუსელდორფი, დრეზდენი და სხვები თითქმის მთლიანად ნანგრევებად იქცა, უზარმაზარი პლაკატები გააერეს წარწერით: **“გაუმარჯოს გერმანიის პირველ მშენებელს – ადოლფ ჰიტლერს”!**

პრესაში გამოქვეყნდა ფიურერის დადგენილება: **“ახალი ბინების მშენებლობის სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ”**. მოსახლეობას პირდებოდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ, ეს საზოგადოება სასწრაფოდ აუშენებდა მათ დანგრეულზე უკეთეს ბინებს, ოღონდ ღირებულებას მხოთხედი ახლავდნენ შეეცნათ.

სახეზეა გულშეგრძელებები გათვლილი ჭკიანური თაღლითობა. ხომ არ გახსენდებოთ შეგარდნადის ილეთი, ბანკში შეტანილი ფულის მომდევნო წელს ორმაგად მიღების შეპირების სანაცვლოდ სამი თითის კომბინაცია რომ მიიღეს.

ინგრაუდა და მიწასთან სწორდებოდა გერმანია იმის მიზეზით, ვისზეც გაპყვირდნენ, გაუმარჯოს გერმანიის პირველ მშენებელსო. **“მაილ ჰიტლერ”**-ის ბლაგვილი ხვედრდნენ ამ სიბივეს და ომის დამთავრებას ელოდნენ, რომ ჰიტლერი ადრინდელზე უკეთეს ბინებს აუშენებდათ: ამ დონეზე გამოთავყვანა ხალხი ნაციონალური სიცრუის ბანგით მოწამვლად.

ბერლინში რომ უტყველდნენ, გეგმებს მაინც გაავრცელებდა: რუსეთი დგას გადაწყვეტი და მარცხების წინაშე, ჩვენ უკან ვიხვეთ, მაგრამ მაინც გავიმარჯვებითო. გებელს მაინც შერჩნოდა რეალობის შეგრძნების რაღაც ნატამალი, რომ არ იბახდა – უკვე გავიმარჯვებოთ!

ქართველმა ნაციონტებმა უფრო შემოქმედებით დაბუშმლეს სიცრუის ბარტყები. ამერიკელების მიერ დროულად მორგებული პამპერსებით გულდამწვდებულები აღრიადნენ, გავიმარჯვებოთ.

ამათ, რაც უნდათ, ის იბახონ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყოველი ჩადენილი სისულელე, თავხედობა, უზნეობა თუ აღვირახსნილობა საქართველოს ეწერება, რამეთუ ამ ქართველთაშუალებს საქართველოს ხელი სუფლებს პქვით. სინამდვილეში კი ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყანაში დანიშნული გაულაიტერის ბანდაა.

ერთხელ ჰიტლერმა ხალხი შეადარა ნესვის გორაკს, საიდანაც ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მაგნიტს ამოაქვს რკინის ნაჭრები, ანუ ღირსეული ადამიანები – ნაციონტები.

ხალხი კი ერის უკვდავებს ნაყოფიერი უჯრედებისაგან შემდგარი მასაა, რომელსაც შერეული აქვს ნაციონალური მოძრაობის ნაგავი და ამ, ერისათვის მიმე განსაცდელის ჟამის დუდილში მთელი ეს ჭკუჭკი ზედაპირზე მოექცა. ახლა მხოლოდ ქვეყნისათვის თავდადებულთა მიერ ქვეყნით ამათი მოქაფვაა საჭირო, რათა ხალი ეროვნული სიწმინდეები აღარ დაისვარონ.

ფაშისმის ნაციონალ-სოციალისტურ ჭირს მედვა გორგონასავით მოჰყვით თავი, მაგრამ მისი შხამიანი სისხლი დედამიწას ასპიტის კბილივით ამოხეთქავს ხოლმე და სადაც მიწვდება, შხამავს სიკეთეს და კეთილდღეობას.

ნაციონალ-სოციალისტური ერქვით და თავიანთი სოციალისტობით ხალხზე ზრუნვას იბრუნებდნენ. ესენი ნაციონალური მოძრაობა არიან და ნაციონალური, აბლათ, იმიტომ დაირქვეს, რომ ხალხთა ნაციონალურ გადაჯიშებას ემსახურებიან; მოძრაობით კი გეორიანად ირჯებიან თავიანთი უძირო სტომაქის ამოსაღებად. რაც შეეხება სეასტიკას, სანამ მთლად არ აიწვევტავენ, ზურგს უკან მალავენ. სამაგიერო ჯერები ბატბუტეით დააყარეს დროშას, ჯვაროსნებმა საფუკელიანად რომ შეარცხვინეს; ესენი კიდევ საქართველოს სახელმწიფო დროშას ეპახიან მანამ, სანამ მისი ფრიალით ფაშისტებეით მოუსაველეთში არ გადასხვავდებიან.

გეონათ, დრო შეაჩერებს და მათ ნაგავში მოხრეწვებას ვეღარ შესძლებს, არადა დრო თავისი დინებით მიდის და თან მიაქვს ამ მანიაკთა მიერ მოწამვლით დამახინჯებული დღეუნიდელიობა, მომავალი თაობის მიერ სინდელით გასახსნებლად.

რა ხდება? ჩვენთან რატომ იმინა თავი კაცობრობის ყველაზე დიდმა ჭირმა, რომელსაც გადაგვარებულ ადამიანთა ხროვის ხელისუფლების სათავეში გაბრძომა პქვია. მსოფლიოს ხალხებისათვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს გერმანიის ფაშისმით დაავადების სავალალო შედეგები.

დავიწყდათ ის საშინელება და ზოგიერთი დიდი სახელმწიფო ისე თამაშობს ამგვარი უბედურების, სხვის გახადიზიანებლად პატარა ქვეყნებში დანერგვით, რომ ამ ბაცილისგან სულაც არ არის დაზღვეული. არადა, რაც უნდა დიდხანს და შენიდებულად იცრუოს, ბოლოს სიმართლის მსახერელი ხელის გასაწევი უნდა გახდეს.

“თუ ცრუობ, ბარემ იცრუე ბოლომდე” – უთქვამს ბისმარკს და ამერიკელებიც ასე ღიმილით და კოვბობის დამბანის ქნევით დაავორებენ სიცრუის კარეტას მსოფლიოს

ხალხთა შორის, სანამ სიმართლე ნაწილებად არ დაშლის ამ ისტორიის სანაგვის პროექტს.

ვერავითარი აგიტაცია და ჩინინი ვერ დაანახებდა ქართველ ხალხს ამერიკელთა ნამდვილ სახეს, რაც მათმა ლაქია მარიონეტებმა შესძლეს. ახლა ყველამ იცის, რომ ამერიკელები იმით აბეზავებენ და აკინებენ უკეთ, ვინც მათი მუსიკის ჭკიპინზე შლეგის აღფრთოვანებით როკავს. სახეზეა ამერიკელთა მიერ ოკუპირებული ჩვენი ნაფერები საქართველო და ოკუპანტების ლაქია ნაციონალთა ამერიკაზე ნოსტალგიური ქაქანი.

ცრუ დემოკრატიისათვის ბრძოლის დემონი კი დაქრის მსოფლიოში და ვინც არ მოსწონს, ან ვისი ღუქმის მოტაცების სურვილი მადას უფორიაქებს, დემოკრატიისათვის მეგრძოლის ნიღბით უფრთხობს მშვიდობის მტრედებს და მის ეროვნულ სიმდიდრეს მეკობრის განუკითხაობით თვისებს. დიას, ეს დემონი დატყანაობს მსოფლიოში, ზოგს ძალით და ზოგს სიცრუით ძარცვავს. რომელ სახელმწიფოსაც მისი მარიონეტი ლაქიები დაეპატრონება, მორიგი ღუქმის მიღდება გაუმადლობა შეერილები განუკითხავად უყვვენ, ვისაც მიუქსევენ. სწორედ ამგვარ გოშიების აქტივობით თავქარილად წყნის დღევანდელი ტროიკის უფლებად წოდებული, ამერიკელთა გაულაიტერად ქცეული პრეზიდენტი და მისი მსგავსი ქვეყნის ამომკვლელთა **“შხანა”**.

თუნდაც პარლამენტად წოდებული ინდურთა თავყრილობა, სულ ახლახან რომ მიიღეს სასაცილო გადაწყვეტილება, რუსეთის მიერ ჩერქეზებისათვის გენოციდის მოწყობის შესახებ. ნახეთ, საქართველოს პრობლემების პატრონები ახლა ჩერქეზებს ისე გადასწდნენ, რომ ისინი აზრზეც არ არიან, რაში დასჭირდათ ეს უცნაური ხმაური საქართველოს პარლამენტში. ამათ კი ასე ერთგულად შეუძლიათ პატრონის დავალებას შესრულება. არადა, იმ პატრონის მიერ ჩადენილი გენოციდი მსოფლიოში უპრეცედენტოა. წლების განმავლობაში დაუზოგავად ელიტეს ინდიელები, საკუთარი მიწაწყალი წართვეს, ინდიელთა სულთერი მამა სტევენ ბული, უკვე მდინარიან რეზერვაციაში შეგდებული, მოკლეს და ბავშვები, მოხუცები, ფეხმძიმე თუ ავადმყოფები ყველა გაწვიტეს. ამერიკის ხელისუფლებამ კი მკვლელები გემოვნად გამოაცხადა. მათ არც ატობის ბომბებით იაბონელი დიდპატარა მშვიდობიანი მოსახლეობის ამოუგვა ეთვლებათ დანაშაულად და არც იაბონიის ოკუპაციის დროს ათ მილიონამდე იაბონელის შიმშილით ამოწვევდა. ეს სასაცილო ინდაურები კი საქართველოს პარლამენტის სახელით რუსეთს ედავებიან და სრულადაც არ აწუხებთ თურქების მიერ მილიონახევარ სიძულეთა გაულებს, რადგან პატრონისაგან ამგვარი დავალება არ მოუღიათ. სამაგიეროდ სარწმუნეობაზე კანონი სასწრაფოდ გამოაცხვეს სხვის გულის მოსაგებად, ქართველთა მართლმადიდებლობის არაფრად ჩადების ხარჯზე.

პიტლერის მუდმივი თანამგზავრი და მეხოტბე – დიტრეხი წერდა: **“ვინც ერთხელ შეხედებოდა ჰიტლერს, იტყვოდა რომ ის არანორმალური ადამიანი არ არის. ვინც მეორედ შეხედებოდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ის გიჟია... დემეტრო, მე ახლაც ვრუანტებოთ მივლის იმის გასხვებაზე, რომ იქნებ მართლაც გიჟი მართლად ჩემს ქვეყანას თორმეტი წლის განმავლობაში?”**

ნოთუ, შენ არ გებადება ასეთი აზრი, ქართველო, როცა მიმა, ერთხელ და ორჯერ კი არა, ყოველდღიურად ტელეფონში სატანის ბოღვასავით რომ გიქრობს შენი მრავალტანჯული სამშობლოს გადარჩენისათვის გამოსაზრდელ ალგეთის ლეკვებისათვის ანთებულ ქვეყნის და ერის ერთგულ უწმინდეს სანთელს.

ყოველდღიური შოუები კი საჭიროა მისი თავიდან მორიგი ორთქლის გამოსაშვებად. ოღონდ ყვარყვარებს სიხშირების დუდილი ისე მაღლი-მაღლ ემართება, რომ ორთქლის გამოშვება ინტენსიურად სჭირდება, რათა ილუზიებით გახარებულმა თავმა ომი არ წამოიწიოს და მევე შიშისგან დამფრთხალს წითელი ხიდივ ვეღარ შეაჩერებს.

ამდენი სექსუალური აღვირახსნილობის თუ სექსუალური გაუკუღმართების რეკლამირება, შოუებზე მაღაღჩინისან ნაციონალთა მხიარული გართობა, უმადილო ოხუნჯობაზე გადამლაშებული ხარხარი ფარესში ანხავლებულ კატასავით ართობს შიმშილის ბრტყალებთან შეტეღებულ უსპეტაკესი ხნობის, მორალისა და პატიოსნების მქონე ერს.

ამ მლაშე თუ უმადილო შოუებით თავიანთ ჭიას ახარებენ. ტლინკაობენ ჯიბესქელი და ლაშქონიანი არსებანი, თან დროდადრო აბღაველებენ ამათ აკომპანიმენტად ნახირივით მორეკიდ დაქირავებულ მსმენელებს.

საშინლად დაედრმავდით გარყვნილების, უზნეობის, გაპირუტყვების ჭაობში. ქართული სპეტაკი ზნეობის და მორალის ქვეყნის შედეგები მსოფლიოს კინემატოგრაფიაში მარგალიტებად ბრწყინავდა. ახლა კი ეს ყბა-

მოთქლეშილი ტელევიზიები ხალხს ექაჩებიან უადრესად ბინძური **“ჭამა და სექსი”** საყურებლად. გარყვნილება, უზნეობა და უწმარო სიტყვების კორიანტელი. აი, დღევანდელი ამათი ცხოვრების წესი და განუკითხაობის სიმუხთლისაკენ მიმავალი გზა ინდაურთა და უცხო ქვეყნის ლაქიათა.

ავგისტოს ავანტიურას შეეწირა საქართველოს შემორჩენილი პრესტიჟი; შეგარდნადის მონაგრებულ ლტოლვილებს ახლა მიშასიც მიმება.

ერის ცხოვრებაში არის მომენტი, როცა ღალატი საკუთარი მთავრობისადმი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისკენ მიჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობად იქცევა – ტალეირანის ეს ბრძნული შეგონება დღემდე ძალაშია.

კეციანმა კოდორის ხეობა შეინარჩუნა, ამათ გააჩუქეს, კეციანი მოღალატედ გამოაცხადეს, მისი და კი დააპატიმრეს. ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ საქართველოს მარიონეტ ხელისუფლებას მხოლოდ ქვეყნის დამაქცევარი მანქანები სჭირდება, სხვა ყველა განათლებული, პატიოსანი, ერის და ქვეყნისათვის თავდადებული ამათი მოღალატეობა არიან, აბა რა.

სულმდაბალთა მიერ აღზევებული უგუნური რომ ამდლდება, ქვეყანას უცხო დამპყრობთა თარეში სანატრელი გაუხდება, მუხთალი მხოლოდ მუხთლობის ნერვს ახარებს თავის ბოროტებით მოწამლულ ნატარზე.

ცხრა აპრილის ტრაგედიაში ქართველი ხალხი შეაშფოთა. მიუხედავად იმისა, რომ ჯუმბერ პატიაშვილს არ ეკითხებოდნენ ამ სადამსჯელო ოპერაციის ჩატარებას, ის მაინც გადადგა.

მოიცლიეს ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები, მეორედ შემოვარდა შეგარდნაძე და სისხლიანი კვადი დაატეო თავის ნატარს. დემონსტრანტების დახვერვა ახლა უკვე აღარავის უკვირდა. ასევე არავის გაკვირვებია სამეგრელოს ვანდალური დარბევით საქართველოს ხერხემალიშ გადარბევის მცდელობა და აფხაზეთის ავანტიურის სამარცხვინოდ დამთავრების შემდეგ თბილისის ქალაქობის ზეიმი. უამრავი უბედურების მოქვეყლი ეს არსებუ არ წავიდა, სანამ მუდამ **“შეგარდნაძეობაზე”** მიწვეულმა **“გავარდნაძეობით”** არ დაამთავრა სოფლის დამაქცევარი გზირობა.

ნაციონალტებს ხომ მთლად აიწვიტეს: მიტინგების სადისტური დარბევა, ადამიანების ქუჩაში განუკითხავი ხოცვა, რბევა და დაპატიმრება, ცხინვალის ავანტიურა, დაკარგული ტერიტორიები, ახალი დროილები, სახალხო ქონების გასხვება, 26 მაისის შემდეგ სისხლიანი, მუქართა და ტრაბახით შენელებული სამხედრო აღღუმი. ამდენი უბედურების შემოქმედა სინდისის ნატამალიც რომ აქონოდა, გადადგებოდა. ის კი უფრო მუქი სიცრუის კვამლით ვეპარმავებს. აი, სადამდე გაიხრწა ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის შეგება.

“თუ ცრუობ, ბარემ იცრუე ბოლომდე”. მუქართი შეხედებული ღალატით იჯირითე მრავალტანჯულ საქართველოში, სანამ შენგანვე გაწამებულ ქართველთა სამსჯავრო არ მოგისრიალებს მოუსვლელით.

დღეს არ ისხენებენ, რანი ვიყავით და რა საშინელი უბედურებაში ვფართხალებთ მუხთალ არსებათა კარიერისტული ამბიციების გამო.

დამოუკიდებლობა გინდოდა? რალაზე მიძვრები ამერიკის გაუმაძღარ სტომაქში?! იქნებ დაფიქრდე და გაიხსნო, რომელ ხალხს დააყარა სიკეთე მაგ ოკეანისგადმელმა **“სარტუტმა”**. სანამ მთელი ლათინური ამერიკა კუდამდე არ გაუცქენდა, მხოლოდ შემდეგ დიანახეს მისი ნიდაბსშეიწითა სიფათი.

საქართველოს უბედურება დაიწყო ერის მოამაგე და ქართველთა ხრუშჩოვის ძალადობისაგან გადამრჩენელი – მქავადიის მოცილებით. ღვარძლის პარკუჭმა, შეგარდნაძემ კი საქართველოს უბედურებას ჩაუყარა საფუძველი. ციტრუსების და სხვა სოფლის პროდუქტების აგრძალებით რუსეთში გატანაზე პირველი მიმე დარტყმა მიაყენა ქართველი კაცის კეთილდღეობას და პატიოსან ავტორიტეტს, როცა მისი ემისრები რუსეთის ბაზრებში დაძვრებოდნენ ქართველი კაცის სპეკულანტად წარმოსაჩენად. კომუნისტობის დროინდელი მისი ცოდვები ამრავლა. ამ ქვეყნიდან თუ ასე შხამის ნოხვებით გაასწრო, ნუ დაავრცელდება: არაი მკდრები, ხალხის მკაცრ სამსჯავროს რომ იმსახურებენ.

როდის ფოფილა ნარეკლის თესლზე ხორბალი, ქერი ან სიმინდი აღმოცენებულიყო. ხალხი შეგარდნადის გაგარდნას ზეიმობდა, ამ დროს კი მისივე გამოზრდილი, მასზე უარესი უბედურება მოძვრებოდა ცოდვების საშინელი დოლბების ასაბრუნებლად.

როცა ვინმეს დაღუპა გინდა, მოყვარე შეატყუე და მის მტრად აქციე (ცრუ მოკეთებდასულის გაჭირვება, უბედურება და ბოლოს მოსპობის დემონი მაღლა აღარ აახედებს).

ფეოდალების მიერ დაქუცმაცებულ საქართველოს ჭაობში ჩავარდნილ მსხვერპლივით ისრუტავდა მსოფლიო ერებს შორის

გაქრობის კოშმარი.

რუსეთი მოგვევლინა მაშინ მხსნელად: წართმეული ტერიტორიები დაგვიბრუნა, გაგვართიანა და შესაჭმელად დასეულ მტაცებლებს კუდიტ ქვა ასროლინა.

სოციალიზმისას საქართველოს აყვავება და გაძლიერება რუსეთის მეგობრული მხარში დგომის ნაყოფი იყო.

დღეს რომ გაყვიროთ, რუსეთი ოკუპანტიაო, თქვენ თვითონ ამერიკის მიერ ოკუპირებულნი! შეეშვით მაგ ოკეანისგადმელ **“სარტუტ”** და რუსეთის დახმარებით ისევ გავერთიანდებით და ავევადვებით. მაგრამ ღალატის ბაცილაშყერილს იმასთან შეძრომა გინდა, ნატო რომ დაირტვა და დიდ მტაცებელს აღვენებული ტურასავით ატერორებენ ვინც მათ როკავს ფეხს ვერ აუწვობს. საქართველო რუსეთმა გამოგლიჯა პირიდან მტაცებლებს და გაართიანა, შენ აქუცმაცებ. თბილისი გაშინებს და ქუთაისს ამზადებს სეპარატიული ერთეულის ცენტრად. თუ იქაც მოგეცარა ხელი, აგერ ბათუმი და თურქეთში გადასახვეწი უეიზო სარფის საბაჟო.

რომელი დამპყრობი გაბედავდა პირველი კლასიდანვე ბავშვს ჩემი ენა ასწავლეთო; რომელი მასწავლებელიც ჩემს ენაზე ბეუტურებს, სხვაზე მტეი ხელფასი მიეცითო; ვერც უამრავ ხალხს შემოყრიდა, ჩემებურად გაანათლეთო.

საქართველოდან ქართველები გარბიან, რამეთუ სამშობლო გაუყიდეთ. აღარც მიწა აქეთ, აღარც საწარმოები და სამუშაო; დამშეული და გაჭირვებული ადამიანები აწვდებიან, რომ როგორმე ამ ჯოჯოხეთს დააღწიოს თავი. აფხაზები და ოსები რაზე გადაიყვლეფენ მუხლებს ჩვენთან ერთად ნატოში შესვლის დაღალში სულის ამოსაძრობად. არადა ისტორიულად ამ ჩვენს განუყოფელ მძებთან საღო რა გეკონდა თუ არა შეგარდნადის და ნაციონალთა ღვარძლიანი ამბიციები.

ამერიკა ჩვენი მეგობარიაო და ამ გაქუცულმა თეთრმა მელამ იმდენი უმუხთლა რუსეთს, რომ აიძულა საეიზო რეჟიმი შემოეღო მისი ძმა და მეგობარი ხალხისათვის, რომელიც ხსნას ისევ რუსეთისგან ელის!

ერთ კაცს სილა უმუხთილგან, გამაწვენებულმა ქვეყანა შეყარა – ამას რა დამავიწყებოს?! წიხლს რომ ამოგკრავთ, ის დავავიწყებოს, უპასუხეს.

თორე მელაზე უარესი რომ ვერ წარმოგვევლინა, ამ ნაციონტებმა მაშინდელი ჯოჯოხეთი სანატრელად აქციეს. ამათი ფაშისტებთან მსგავსება ამფოთებს ამ ქვეყნის ძარღვის სიმშვიდეს.

პიტლერს ყვავებოდა კაცი-მასწავლებლები და უშვერი სიტყვებით ლანდელადა მათ. სულ იმუქრებოდა, სკოლებში ფვლდებულებს გაგავზავნიო. ამათ პიტლერის მუქარა მანდატურებით ადასრულეს.

სასულიერო პირების დანახვაზე ცოფს ყრიდა, ერთხელაც იქნება მაგათ გაეუსწორდებო; ესენი ღირსეულად ასრულებენ პიტლერის მუქარას.

ფიურერმა უკეთ იცისო, მრავალი გერმანელი ბრმა იარაღის როლით კმაყოფილდე ბოდა; ბევრი სადისტად იქცა და ბოლოს უფსკრულში ჩაიხვან. ბუნებით კეთილი, სენტიმენტალური გერმანელი იქცა მკვლელად, სადისტად, ჯალათად.

თქვენ მოკალით, პასუხისმგებლობას მე ვეკისრულობო, გაპყვიროდა გერინგი და ნიურბერგის პროცესზე პასუხისმგებლობისაგან გაქცევის მცდელობაში ახლა თავი ქვას.

ბოლო დროს გებელს გაპყვიროდა; ჩვენ წავალთ, მაგრამ ისე, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყოსო!.. დედამიწა არა, მაგრამ ბერლინი კი ზანზარებდა ბომბების სეტყვის ქვეშ.

განა შეიძლება ადამიანი ეწოდოს იმას, ვინც 26 მაისს მომიტინგები ევლური დაუნდობლობით აწამა?! ნახეთ, რადენი ადამიანის გადაგვარება შესძლეს!

გაფრთხილი, ქართველო კაცო! ესენი მრავალ კეთილშობილ ახალგაზრდას გადაავარებენ მკვლევებად, სადისტებად, ჯალათებად და თვითონ განკითხვის სამსჯავროს წინ რომ აბოლდებიან, იმ გადაგვარებულ არსებებს თან გაიყოლებენ.

გოშია წააქეზეს და მეგლს შეაჭმევინესო. ეს გოშიები ამერიკელთა წაქეზებით უდრენენ, ვისაც მიუქსევენ და მეგლს თუ შეაჭმევინეს თავი, ამერიკელები სულაც არ ჩაიცივან შეეს. საფუალო კი ის არის, რომ საქართველოს სახელით აყვავებულები ამ ქვეყანას უბედურებისაკენ ექაჩებიან.

– თუ მე დავიღუპები, დაე, დაიღუპოს გერმანელი ხალხიც! – წამითიბა პიტლერმა.

ამათ უფრო დიდი მიზეზი აქეთ ქართველი ხალხის დაღუპვისა, რამეთუ, ადრე თუ გვიან, მის სუსხიან სამსჯავროს წინაშე მოუწვეთ ღალაბით ცოდვების ერთმანეთზე გადაბრუნდება. ცოდვებს კი ვერ დაწვოვით, რამეთუ ამათი ყველა ნაბიჯი ცოდვების, ღალატის, ქართველი ხალხის გადაგვარების ჭაობში ჩაღრმავება.

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხვობავენ თანამედროვე საფეხბურთო საშუალებებით ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამედ თუ გიგანტური, არამედ ათასმეტრე-ბლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს მასივს, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოვედინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულს დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები “მარაკანა”, “ატეტეკა”, “ნოუ კამპი”, “სანტიაგო ბერნაბეუ”, “ლუნიკეი”, “ოლიმპიატა-დიონი”, “ჰემდენ პარკი” და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ “მონსტრებს” ავსებენ პირთაშორეულ დღევანდელი ფეხბურთის “გრანდები”, რომლებიც მონღოლებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გავაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ბილი მაკნილი

დაიბადა 1940 წლის 2 მარტს, შოტლანდიაში.

თამაშობდა მხოლოდ ერთადერთ საფეხბურთო კლუბ “სელტიკში”.

გულშემატკივრები ბილი მაკნილს მეტ-სახელად ფეხბურთის “კეისარს” ეძახდნენ, რასაც იგი თავისი იმსახურებდა. იგი ტანადალი იყო, დევეპირივით ჩამოსხმული და მეტად ძლიერი და მისი თამაშის სტილიც მეტად შთაბეჭდილი გახლდათ. ბილი მაკნილი საფეხბურთო მოედანზე ნიშნავდა მუდმივ საშიშროებას მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებისათვის, რადგან, არავინ იცოდა როდის აფეთქდებოდა ეს დაყოვნებული მოქმედების ნაღმი. მაკნილს მედლებისა და სპორტული ჯილდოების საკმაოდ დიდი კოლექცია გააჩნდა, 1967 წელს კი გახდა პირველი ბრიტანელი ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა – ყველაზე ავტორიტეტული ტიტული მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის სამყაროში. ბილი მაკნილი სამხედრო მოსამსახურის შვილი გახლდათ. იგი თავიდან სკოლის რაგბისტა გუნდში თამაშობდა, ფეხბურთის ანბანს კი მოგვიანებით ეზიარა. იშვიათია ისიც, რომ მთელი თავისი სპორტული კარიერა მან ერთადერთ გუნდ “სელტიკში” გაატარა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თვალისმომჩრედი წინადადება ჰქონდა მსოფლიოს უძლიერესი კლუბებისაგან. სწორედ აქ დაამყარა მან საკლუბო გუნდში თამაშის მსოფლიო რეკორდი მატჩების რაოდენობის მხრივ. შოტლანდიის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ბილი მაკნილის დებიუტი შედგა 1961 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დებიუტი წარუმატებელი გამოდგა, რადგან შოტლანდის ნაკრებმა მაშინ დიდი ანგარიშით წააგო. სულ შოტლანდიის საფეხბურთო ნაკრებში ბილი მაკნილმა 28 მატჩი ჩაატარა, შემდეგ კი, რამდენიმე წელიწადი მწვეთნელად მუშაობდა “ასტონ ვილას” და “მანჩესტერ სიტიში”, სადაც მაინცდამაინც დიდ წარმატებას ვერ მიაღწია.

ჰუნარ გრენი

დაიბადა 1920 წლის 31 ოქტომბერს, შვეიცარიაში.

თამაშობდა კლუბებში “იფე გეტებორგი” (შვეიცარია), “მილანი”, “ფიორენტინა” (იტალია), “ორგინი”, “პაის გეტებორგი” (შვეიცარია).

ჰუნარ გრენი 1948 წელს შვეიცარიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ეს მოხდა ქალაქ ლონდონში. გრენმა მაშინ თავისი უნაკლო თამაშით ფეხბურთის იტალიელი სპეციალისტებისა და მწვეთნელების ყურადღება მიიპყრო. გამალებული სატრანსფერო შეჯიბრი მაშინ მილანმა მოიგო, რომელიც იმ პერიოდისათვის ფინანსურად საკმაოდ მდიდარი საფეხბურთო კლუბი გახლდათ. ამ დროს “მილანში” უკვე თამაშობდნენ გრენის თანამემამულეები ნორდალემი და ლიდპოლმში (ეს ის ლიდპოლმი გახლდათ, რომელმაც შვეიცარიაში 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში პირველი გოლი გაიტანა ბრაზილიელთა კარში), რომელთან ერთადაც ახლადშექმნილმა ფორვარდმა ნამდვილი ფურთო მოახდინა იტალიურ ფეხბურთში (მათ წარმატება შემდგომში “გრენოლად” მოინათლა). თავად ლიდპოლმს მაშინდელ საფეხბურთო წრეებში პროფესორად მოიხსენიებდნენ. ამის მიზეზად მიიჩნეოდა როგორც გრენის სიმელოტი, ასევე ფეხბურთის თამაშის ეშ-მაკური სტილი, რადგან მისი ჩანაფიქრის გაშიფვრა მანამდე არ ხერხდებოდა, ვიდრე გრენი გოლს არ გაიტანდა. შემდეგ გრენი “ფიორენტინაში” შეიძინა, სადაც ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა 1955 წლამდე ითამაშა და სამშობლოში დაბრუნდა. მისი უკანასკნელი მატჩი შედგა 1958 წელს, შვეიცარიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ზემოდანახსენებ ფინალურ მატჩში ბრაზილიელთაგან. ეს გახლდათ შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში მისი 57-ე მონაწილეობა. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ჰუნარ გრენი ახალგაზრდა ფეხბურთელებს წვრთნიდა.

კლაუდიო პაულ კანიჯა

დაიბადა 1967 წლის 9 იანვარს არგენტინაში.

თამაშობდა კლუბებში “რივერ პლეტი” არგენტინა, “ვერონა”, “ატლანტა”, “რომა” იტალია, “ბენფიკა” პორტუგალია, “ზოკა ხუნიორსი” არგენტინა, “დანდი”, “რინჯერსი” შოტლანდია.

კლაუდიო კანიჯა ერთ-ერთი ამოუცნობი და ამდენად საინტერესო და დამაინტრიგებელი ვარსკვლავი იყო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებდა ის, რომ ამ ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კანიჯას ამოეწურა 13-თვიანი დისკვალიფიკაციის ვადა. მან ეს მკაცრი სასჯელი დამსახურა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში ღოპინგის მიღების გამო. როგორც კი არგენტინის ნაკრებს დაუბრუნდა, კანიჯამ გოლი გაიტანა ისრაელის საფეხბურთო ნაკრების კარში, სადაც არგენტინამ 3:0 გაიმარჯვა. 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რუმინელთაგან გამართულ პირველივე მატჩში კანიჯამ ტრავმა მიიღო, რამაც მძიმე დაღი დაამჩნია მის სპორტულ კარიერას. კანიჯამ ფეხბურთის თამაში “რივერ პლეტიში” დაიწყო, 1988 წელს კი იტალიაში გადაბარგდა. ამ ქვეყანაში კიდევ ერთხელ გაიბრუნა კანიჯას საფეხბურთო ტალანტი და იგი იტალიელი “ტიფოზების” ნამდვილ კერპად იქცა. შესანიშნავად თამაშობდა კანიჯა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც მეოთხედფინალში გამარჯვების გოლი გაიტანა ბრაზილიელთა კარში, ნახევარფინალში კი გაქვითა ანგარიში იტალიელებთან და პენალტების სერიის მოგების შემდეგ არგენტინელები ფინალში გავიდნენ. აქ კი, დისკვალიფიკაციის გამო კანიჯამ ვეღარ ითამაშა, რაც აისახა კიდევ მატჩის საბოლოო ანგარიშზე. შემდეგ კანიჯა შოტლანდიის გუნდებში თამაშობდა საკმაოდ დიდი წარმატებით.

ბიორბი ჯალალანია

იუმორი

- რატომ შორდებით ქმარს?
- სადისტია, ბატონო მოსამართლე, სულ ძალით მაჭმევს ჩემს გაკეთებულ საჭმელს!
- ***
- ორი დაქალი საუბრობს:
- იცი, გუშინ მეუღლეს სილამაზის საღონში წასასვლელად 200 ლარი ვთხოვე – ეუბნება ერთი დაქალი მეორეს.
- მეგრე, მოგცა?
- იმ უსინდისომ შემათვალიერა და 500 ლარი მომცა.
- ***
- ებრაელი მიმართავს სასიძოს:
- თუ ჩემს 20 წლის ქალიშვილს შეირთავ, მზითევი 20 ათას დოლარს მოგცემ, თუ ჩემს 30 წლის ქალიშვილს შეირთავ, 30 ათასს მოგცემ, ხოლო თუ 35 წლის ქალიშვილს შეირთავ, 35 ათას დოლარს მოგცემ.
- 50 წლის ქალიშვილი არ გაყავი, ბატონო?
- ***
- ჭიჭიკია, ბიჭი შეგეძინა და რატომ ხარ დაღონებული?
- რა გამახარებს, თუ კაცი ხარ! სამშობლოში – 3 კილო და 600 გრამიაო, მითხრეს. მოვიყვანე სახლში, ავწონე და ზუსტად სამი კილოა. ყველგან შენი სასწოროთი როგორ უნდა იარო?
- ***
- ოსი მივიდა პოლიციაში საჩივრელად:
- უფროსო, გამაჩერეს ქუჩაში, “დუბლიონკას” მართმევდნენ, ხან ზემოდან მირტყეს, ხან – ქვემოდას...
- პრინციპში, გირტყეს, პო?..
- პრინციპში კი არა, სულ ცხვირ-პირში მირტყეს...

ზუგდიდის საკრებულო
შსს-ის აღვილობრივ
ოკრანოს
დაფინანსებას უზრდის

როგორც საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი ზუგდიდიდან გვატყობინებს, ზუგდიდის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სანიაღვრე არხებისა და გზების რეაბილიტაციის ხარჯზე დაფინანსება ეზრდება შსს-ის განსაკუთრებული დეპარტამენტის ადგილობრივ ოფისს. თანხა მთლიანობაში 12 ათას ლარს შეადგენს. საკრებულომ ამ უწყებას 60 ათასი ლარი მისწავს გადაურიცხა. ეს თანხა მაშინ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ეზოს კეთილმოწყობას მოხმარდა.

საკრებულოს ბოლო სხდომის გადაწყვეტილებით, დაფინანსება 23 ათასი ლარით გაეზარდა საკრებულოს აპარატს, 30 ათასი ლარით კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაკლიის ბანაკი “პატრიოტი” დაფინანსდა. არადა, ბანაკი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან 1 მლნ ლარით ფინანსდება. ბანაკის მსგავსად, ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება განსაკუთრებულ დავალებათა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოც.

ამდენად, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ადგილობრივი მთავრობა ექსკლუზიური უფლებამოსილების განსახორციელებისთვის გამოყოფილ თანხებს ამცირებს. არადა, კანონის შესაბამისად, პრიორიტეტი ადგილობრივმა თვითმმართველობამ არა დელეგირებულ, არამედ სწორედ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას უნდა მიანიჭოს. მით უმეტეს მაშინ, როცა გზების პრობლემა ზუგდიდის არაერთ ქუჩაზე და სოფლებში არსებობს. სანიაღვრე არხები კი ქალაქის უმეტეს ნაწილში მოწყვლილებული არ არის და წვიმის დროს ცენტრალური ქუჩების ნაწილი იტბორება.

ილია მეორე ცაგერსა და ლენტეხის
მეტეხი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ორი დღით ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას ესტუმრა.

კათოლიკოს-პატრიარქი ცაგერში 12:00 საათისთვის ჩაბრძანდა. ილია მეორე წმინდა მაქსიმე აღმსარებლის მონასტერს ესტუმრა და წმინდანის საფლავი მოილოცა, საკათედრო ტაძარში მრევლი დალოცა და ადგილობრივი თვითმმართველობითი კოლექტივების მონაწილეობით კონცერტსაც დაესწრო.

შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლენტეხში ჩაბრძანდა და წირვა აღავლინა, ლენტეხში ტაძრის ასაშენებლად ადგილი აუთოხა, სადაც ჯვარს აღმართავენ.

ამასთან, ილია მეორე ლასურიაში მამათა მონასტერსაც ესტუმრა და მოილოცა. უწმიდესის პატივსაცემად კონცერტი ლენტეხშიც ჩატარდა.

საძინებლოში.



ზაფხული 2011: სამი მილიონი ტურისტის ბლუზი გამოღვა...

მართალია, წელს ხელისუფლება საქართველოში 3 მილიონ ტურისტს ელოდება, მაგრამ ყველაზე ცხელი სეზონის, ივლისი-აგვისტოს, მიწურულს საქართველოში ორი მილიონი ტურისტის შემოსვლაც კი არ დაფიქსირებულა. ექსპერტი მარინა მეტრეველი ხელისუფლების მიერ დასახელებული 3 მილიონი ტურისტის მოლოდინს არარეალურს უწოდებს, რადგან ამდენი ტურისტის მისვლად საჭიროდ უნდა იქნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და დიქსიათის არ აქვს.

სტატისტიკურ ინფორმაციას ევკვექეშ აყენებს ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდიაძე. როგორც საქინფორმთან საუბრისას ბატონმა ლევანმა აღნიშნა, ხელისუფლების მონაცემები ტურისტების რაოდენობის შესახებ გადაჭარბებულია.

“ყველა ვიზიტორის ტურისტად გამოცხადება რეალურ სტატისტიკას ბუნდოვანს ხდის. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკა რეალურს არ შეესაბამება და ამან თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. რომელსამ მილიონ ტურისტზე შეიძლება საუბარი, როდესაც წელს აჭარა რეალურად ტურისტების ტოტალურ შიშშიღს განიცდის? ეს

განსაკუთრებით ქობულეთს ეხება, რომელიც, პრაქტიკულად, ცარიელია. ამის აღიარება კი ხელისუფლებას არ უნდა. 3 მილიონი ტურისტის მოლოდინი კი ეჭვის საფუძველს იძლევა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, საქართველო რამდენად არის ეკონომიკურად მზად, მიიღოს ამდენი ტურისტი. ქვეყანაში იმდენი ტურისტი უნდა მიიღოს, რამდენის „აწვევაც“ შეუძლია, რათა ზიანი არ მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას“.

